

ზურა პაპიაშვილი

მუდმივი პრეზიდენტი

პიესა ერთმოქმედებად

მოქმედი პირნი:

პრეზიდენტი: საქართველოს მუდმივმოქმედი პრეზიდენტი.

თაღეს შონია : უფოლოგი.

უცხოპლანეტელი.

პირველი მრჩეველი: პრეზიდენტის მრჩეველი.

მეორე მრჩეველი: ასევე პრეზიდენტის მრჩეველი

წვერებიანი კაცი: სავარაუდოდ წმინდანი რომელსაც არავინ იცნობს. მე-19-ე საუკუნეში მოღვაწე.

თავდაპირველი სცენა გაყოფილია ორად. პირველი სცენა წარმოადგენს ოვალური ფორმის კოსმოსური ხომალდის მსგავს კონსტრუქციას. ხოლო მეორე, პრეზიდენტის სამუშაო-სათათბირო ოთახის მსგავსია. სცენის ნაწილი შეიძლება შეიცვალოს პიესაში მითითებული ადგილების მიხედვით.

1 .

პრეზიდენტი. თაღეს შონია. უცხოპლანეტელი.(კოსმოსური ხომალდი.)

პრეზიდენტი-რა უბედურებაა რატომ შევჯანჭყარდით?

თაღეს შონია-უკ ალბათ აქაურ იამას ჩავარტყით.

პრეზიდენტი-აქაც მოუწესრიგებელია გზები?

თაღეს შონია-კი, თანაც რამდენი ხანია, პირველად 1985 წელს ვიყავი და მას მერე ასეა.

პრეზიდენტი-(უცხოპლანეტელს) რატომ შევჯანჭყარდით ?

უცხოპლანეტელი-არაფერი ისეთი, მეტეორმა ჩაიქროლა, წნევამ შეგვაქანა.

პრეზიდენტი-ვაიმე ! ჩვენსკენ ხომ არ მიდის !(ფანჯარაში იყურება) ოჯახი იქ მყავს.

უცხოპლანეტელი-ნუ დელავთ, პლანეტები დაათვალიერეთ. ჩვენი სავიზიტო ბარათია.

თაღეს შონია-განაგრძეთ. (პრეზიდენტს)

პრეზიდენტი-.....რა ვქნა.....(დუმილია) მირჩიეთ რამე. ეს მრჩევლები სულ ტყუილად მყავდა. ავდექი და დავითხოვე. პრინციპში ჩემი ბრალიცაა, ფორმაში არ არიან, მხოლოდ წელიწადში ერთხელ ვეკითხები რჩევას. არა წიგნებს კი კითხულობენ მარა...ჩვენთან პირიქითაა. ვინც კითხულობს ის უფრო გამოლენჩებულია. პოლიტიკაში განსაკუთრებით. სოკრატეც ალბათ იმიტომ თვლიდა რომ წიგნების კითხვა საჭირო არ არის. (ელმეზა)

(ისევ შეჯანჭყარდებიან) უუჰჰ რა ხდება ? (უცხოპლანეტელს)

უცხოპლანეტელი-არაფერი, ხომ გითხარით საშიში არაფერია.

(უხერხული სიტუაციაა)

პრეზიდენტი-.....ხო და იმას ვამბობდი, პოლიტიკა უნდა შევცვალო.

არ ვიცი კურსი საით ავიღო. ყველას მოვბეზრდით. უფროსწორედ მე მოვბეზრდი. მაპუტუს მერმაც კი თვალი ამარიდა კონფერენციაზე. ირონიით გამიარა გვერდით, არც მომსალმებია.(ძალიან მცირე პაუზა.) ცოლმაც დამცინა ! ჩემმა ცოლმა, ამის გამო. გესმით ეს რას ნიშნავს ! ძველ შოტლანდიელებს სწამდათ, როცა ცოლი დაგცინებდა, ესე იგი საქმე კარგად არ იყო.

თაღეს შონია-აბა რა გითხრად, ოთხმოციანი წლებიდან ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

სახელმწიფოებრივად ვედარ ვაზროვნებ. საერთოდ მძიმე საქმეა. მე რომ ვიყო ამ ტვირთს არ ავწევდი. რისკია. მეცნიერება მირჩევნია. შენთვის ხარ და მორჩა...კი იქაც არის ინტრიგები მაგრამ...

პრეზიდენტი-ხო. ასე თქმა კარგია. კარგად გამოგდით.

თაღეს შონია-ამას რატომ მეუბნებით.

პრეზიდენტი-რატომ და აღარ უყურებთ რა შარში ვყოფთ თავს.

თაღეს შონია-მერე და ნუ გაყოფთ ბატონო?

პრეზიდენტი-აი , კიდევ ერთი...

თაღეს შონია-მე დაგაძალეთ?

პრეზიდენტი-ვიღაც ხომ უნდა იყოს ? ანარქისტით მსჯელობთ. წინაპრები არ მოგიწონებდნენ.

თაღეს შონია-წინაპრები...არც მე მოვუწონებდი ბევრ რამეს, მაგრამ რათ გინდა. შიშით ხმა ვერ ამოგიღია მათზე . ეგენი ხომ უშეცდომოები იყვნენ.(ირონიით)

პრეზიდენტი-კარგით. ისედაც ვერ ვარ, თემა შევცვალეთ. მერეც გვეყოფა ამაზე საუბარი.

თაღეს შონია-კიბატონო. წინააღმდეგი არ ვარ.

პრეზიდენტი-(უცხოპლანეტელს)... და თქვენ რომელი პლანეტიდან ხართ? მაპატიეთ , ბატონ თაღესთან საუბარში გავერთე. ასე მჭირს. (იღიმება)

უცხოპლანეტელი-მე, მე გალაქტიკის მოქალაქე ვარ, თქვენებურ ენაზე მსოფლიო მოქალაქე.

დიპლომატიური პასპორტიც მაქვს. ისე წარმოშობით ვენერადან ვარ, დედა მარსიდანაა. ახლა იქ აღარ ვცხოვრობთ.

პრეზიდენტი-უჰ საინტერესოა.

თაღეს შონია-ერთმანეთი ნადარბაზვევის ტბაზე გაიცნეს, ჩვენთან. ექსკურისაზე ყოფილან მისი მშობლები. შემდეგ ორი ჯგუფი ერთმანეთს აცდენია და....დიდი ისტორიაა მოკლედ.

პრეზიდენტი-(ბავშვივით შეხტება) რას ლაპარაკობთ. ახლა სად ცხოვრობთ ?(უცხოპლანეტელს)

უცხოპლანეტელი-ხან სად , ხან სად. პრობლემები მაქვს, დეპრესია დამეწყო.

პრეზიდენტი-(თაღეს შონიას, ჩურჩულით) საშიში ხომ არაა, ვთქვად ფეთქებადი.

თაღეს შონია-(თავს გააქნევს დარწმუნებით) არა. პატარა პრობლემები აქვს, დედ-მამამ წაიჩხუბეს, ჩვილი გული აქვს...ახლა მოგზაურობამ გაიტაცა.

პრეზიდენტი-(უცხოპლანეტელს) ესეიგი ჩვენთან ნამყოფი ხართ ?

თაღეს შონია- კი. 1987 წელში იყო პირველად. ჩემთან სახლში მოვიდა, პაპამის მიმამსგავსა თურმე. მერე დავმეგობრდით. პირველად მთაწმინდაზე ავიყვანე, პანთეონი ვანახე.

პრეზიდენტი-მერე?

თაღეს შონია-მარმარილოს ქვები მოეწონა.

უცხოპლანეტელი-ხინკალიც. (ლიმილით)

თაღეს შონია-უჰ ეგ აღარ მახსოვს, მცხეთაში ხო ? პირი დამეწვა ისეთი ცხელი იყო, თანაც ისეთ ფაქტს შევესწარი რომ, ეს ვიღას ახსოვდა.

პრეზიდენტი-ხინკალშიც უცხოპლანეტელი იყო?

თაღეს შონია-ეგ არც გამიკვირდებოდა. ჩემი კათედრის დეკანი დავინახე, მაგიდაზე დარჩენილ ხინკლებს პარკში აწყობდა და ჯიბეში იღებდა. ეს რა ვნახე პირდაპირ.

პრეზიდენტი-ესე იგი მცხეთაც ანახეთ? არ უთხარით რომ უძველესი ქალაქია.

თაღეს შონია-კი ვუთხარი მაგრამ, თარიღები სასაცილოდ არ ეყო. მაგ თარიღის მართლ თვალის ოპერაციები მაქვს გაკეთებულიო, სასწაული იუმორი აქვს.

პრეზიდენტი-ვერ წარმოვიდგენდი თვალეები თუ სტკივდებოდათ.

თაღეს შონია-ხო, ძირითადად ჩვენ რომ გვხედავენ.

პრეზიდენტი-ზესტაფონის ფეროს ბრალია ალბათ. იმ დღეს გავლით ვიყავი, ყველაფერი თეთრ კვამლში იყო გახვეული.

უცხოპლანეტელი-კი შარშან მომწამლა, მსგავსი არაფერი შემისუნთქავს.

თაღეს შონია-ეგრევე ბორჯომი დავალევიწე , კუჭი გამოვურეცხე. როგორია სტუმარი კაცი რომ ფერწასული გიწევს მკლავებზე და „აქ არ მომკლა ღმერთოს,, ძახილით რომ გულს გიხეთქავს. უჰ მძიმედ მახსენდება. ლამის მღვდელი მომთხოვა.

პრეზიდენტი-ქუთაისის საავადმყოფოში მიგეყვანათ.

თაღეს შონია-ვინ მიიღო.....საეკლესიო საავადმყოფოდ გადაუკეთებიათ და უსჯულოებს არ ვიღებთო. მერე ისევ ტრადიციული წესით ვუმკურნალე.

უცხოპლანეტელი-კარგით ახლა, მრცხვენია, სულ ჩემზე საუბრობთ. (იმორცხვებს)

პრეზიდენტი-არავინ მოწონებია?

თაღეს შონია-(ემმაკურად გახედავს უცხოპლანეტელს) კახეთში მყავდა, გამიგიჟეს.

უცხოპლანეტელი-ოოო ეგ არ მოყვებთ.

პრეზიდენტი-ჩვენ ხომ შინაურები ვართ. (ლიმილით)

უცხოპლანეტელი-(თაღეს შონიას) მაშინ ფინალი არ მოყვებთ.

თაღეს შონია-უჰ აბა ისე რა აზრი აქვს.

პრეზიდენტი-ნუ გამაწბილებთ, მიყავრს თავგადასავლები.

თაღეს შონია-არაფერი ისეთი, კახელმა გოგომ დაგვიტრო.

უცხოპლანეტელი-მთლად მასეც არ იყო. ორნახადი იყო, მომატყუეს.

თაღეს შონია-ორნახადი, სამნახადი არ ვიცი მე, უნდა გეპოვნა.

უცხოპლანეტელი-ხომ გთხოვეთ . (ღიმილით)

თაღეს შონია-წამომცდა უკვე.

უცხოპლანეტელი-ისე დავთვერი რომ ერთად რომ დავწექით ის,...ვერ ვუპოვე სად ქონდა.
(თავს ხრის)

პრეზიდენტი-უჰ თქვენ რა გითხარით, მეც არავთქვი.....ეგ ვის არ მოსვლია. ზოგ ქალს
სადააქვს-მეც ვერ ვპოულობ. ფანრიანი ტელეფონი უნდა ატაროთ. (იღინიან)

(კოსმოსური ხომალდი ისევ შეჯანჭყარდება, პრეზიდენტს იგივე რეაქცია აქვს.)

პრეზიდენტი -უჰ თქვენ რა გითხარით რაღაცას მიპირებთ ცოტა ხომ არ შეგვესვენა.

გავალ, აქაურ ჰაერს შევისუნთქავ ფანჯრიდან.

უცხოპლანეტელი-(თაღეს შონიას) გულის რევა ხომ არ იცის?

თაღეს შონია-არა. (თავს ხრის)

(კოსმოსური ხომალდის სცენა ბნელდება . სცენაზე ინთება პრეზიდენტის სათათბირო
ოთახი)

2 .

პრეზიდენტის სათათბირო ოთახი.

(პირველი მრჩეველი, მეორე მრჩეველი , წვერებიანი კაცი.)

პირველი მრჩეველი-ნეტავ რას იზამს. (ნერვიულობს, ხელებით მუხლებს იზილავს)

მეორე მრჩეველი-ეს ესაა ძლივს ჭკუა გვკითხა და....ისევ საქეიფოდ წაიყვანეს....

პირველი მრჩეველი-მეშინია.

მეორე მრჩეველი-რის?

პირველი მრჩეველი-რისი აღარ.

მეორე მრჩეველი-ეგ კი მაგრამ

პირველი მრჩეველი-თორმეტიდან ჩვენლა დავრჩით.

მეორე მრჩეველი-ჩვენც გაგვიშვებს...იმ ორს ისე სიამოვნებით შეხვდა რომ...

პირველი მრჩეველი-მეც ეგ მგონია. მოგვატყუა რომ გვითხრა , საქეიფოდ მივდივარო. უცნაური ხალხი კი ჩანდნენ, სულ „ჩვენებურო, ჩვენებუროს „-ემახდნენ.

მეორე მრჩეველი-არა და ხვალ „მნიშვნელოვან თემაზე ჭკუა უნდა გკითხოთო,,...

პირველი მრჩეველი-(ყვირილით წამოხტება) დავხოცავ!

მეორე მრჩეველი-დაჯექი ერთი თუ ძმა ხარ. ვერ ხედავ რა უცხო ტრანსპორტით გააქანეს...დაეწიე მიდი . მე ის უფრო მაინტერესებს რა უნდა ეკითხა.

პირველი მრჩეველი-გუშინ სიზმარი ვნახე.

მეორე მრჩეველი-ნეტავი ერთი შენ.

პირველი მრჩეველი-ვითომ ავეჯის ქარხნის დირექტორი ვიყავი, ვიღაც მილიონერის ცოლი მოვიდა და დიდი საწოლი შემიკვეთა. სამ დღეში უნდა დამიმზადოთო. ჩვენც დავუმზადეთ. რომ მოვიდა „აბა თუ გამძლეაო,, და გადაკოტრიალდა. მე მეგონა, ფილმებში როგორც არის, სექსს შემომთავაზებდა...რა მითხრა იცი? ჩემი ქმარი პრეზიდენტმა გამოიძახა რჩევის საკითხავადო...მე გული გამისკდა, ეგრევე გამომეღვიძა...

მეორე მრჩეველი-ეგ რა მოგსვლია. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს.

პირველი მრჩეველი-შენ გეცინება და...არ მომწონს იმათი მოსვლა.

მეორე მრჩეველი-ჯერ ხომ ზუსტად არ ვიცით.

პირველი მრჩეველი-შენ წინა წელსაც მასე იძახდი.

მეორე მრჩეველი-მერე ჩვენ ხომ დაგვტოვა.

პირველი მრჩეველი-ისიც იმიტომ რომ არქეოლოგები ვართ.

მეორე მრჩეველი-გაჩერდი ერთი, პროფესიით არასდროს გვიმუშავია. ეგრევე მოსკოვში გავექანდით..... ისე რისი მშოვნელები ვიყავით. გვეთხარა აქ, იქნებ რამე გვეპოვა . (იციინის)

პირველი მრჩეველი-გათხრაზე გამახსენდა, გურამ გოგიბერიძე გახსოვს? ჩვენი კურსელი.?

მეორე მრჩეველი-კი კი ქერა თმები რომ ქონდა.

პირველი მრჩეველი-ხო, ხო ზუსტად.

მეორე მრჩეველი-მერე?

პირველი მრჩეველი-ისიც ხომ გახსოვს, დიდი სწავლა განათლებით რომ არ გამოირჩეოდა და მარტო პაპამისის სახელით რომ გაჰქონდა თავი...

მეორე მრჩეველი-როგორ არ მახსოვს, მამიდაჩემმა ჩაუწყო ბოლო გამოცდა, შეეცოდა ჩემს გვერდით რომ იდგა ატუზულიმერე ?

პირველი მრჩეველი-ჰმ. (პაუზა) სად არის იცი?

მეორე მრჩეველი-გაიქცა?

პირველი მრჩეველი-ჰერალდიკის სახლემწიფო კომისიის თავჯდომარეა. (ირონიული სახით)

მეორე მრჩეველი-უი ეგ დალტონიკი?

პირველი მრჩეველი-გამანებე ერთი თავი, აღარაფრის მჯერა.

მეორე მრჩეველი-ჩვენ კიდევ.....ვზივართ აქ და.....

(სცენა ნელ ნელა ბნელდება მცირე ხნით, შემდეგ ისევ ნათდება და მათ წინ წვერებიანი კაცი დგას. პირველ და მეორე მრჩეველს შეეშინდებათ, წამოდგებიან, მაგრამ წვერებიანი კაცი ჰიპნოზისებური მანერით , ხელით ანიშნებს და ჯდება.)

წვერებიანი კაცი-(მრჩეველებს) უკაცრავად, მესმოდა და სულ სხვებზე საუბრობდით...

პირველი მრჩეველი-მერე და რატომ გვისმენთ. გეხალისებათ?

წვერებიანი კაცი-სულაც არა . მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ ან ვერ ხედავთ რომ მე ყურები მაქვს . თვალებიც და....

მეორე მრჩეველი-(აწყვეტინებს) მერე და ვერ დაინახეთ რომ სხვაგან მოხვდით.

პირველი მრჩეველი-ან აქ საიდან მოხვდით, საშვი ვინ დაუშვა ?

მეორე მრჩეველი-ან საერთოდ , დარწმუნებული ხართ რომ აქ უნდა მოხვედრილიყავით.?

პირველი მრჩეველი-თან მაშინ როცა ჩვენც ვერ გაგვიგია რა ხდება და გაუგებრობაში ვართ.

წვერებიანი კაცი-გაჩერდით! ხომ შეიძლება წამიერად გაჩერდეთ! (ყვირილით, უცბად სიჩუმე ჩამოვარდება. მრჩეველები ერთმანეთს გაკვირვებით და შიშნარევად უყურებენ.)

პირველი მრჩეველი-(ჩურჩულით მეორე მრჩეველს) მგონი ეს ახალი მრჩეველია და საბოლოოდ დაგვენძრა, მგონი ესაა და არ გვიძხელდა.

მეორე მრჩეველი-შენი სიზმარი?

პირველი მრჩეველი-რა ჩემი სიზმარი?

მეორე მრჩეველი-იმის ქმარი, ამას ხომ არ გავდა?

პირველი მრჩეველი-შე იდიოტო, ხომ გითხარი, ქმარი არ მინახავსთქო.

მეორე მრჩეველი-იქნებ ეს იყო ა ?

პირველი მრჩეველი-(წვერებიანი კაცს) უკაცრავად და ცოლი გყავთ?

(წვერებიანი კაცი კოპებს შეიკრავს, დუმს.)

მეორე მრჩეველი-ახლა ვინაა იდიოტი?

პირველი მრჩეველი-რა მოხდა მერე, ვკითხე . სხვა ხომ არაფერი?

მეორე მრჩეველი-კარგით, გაგვეცანით მაინც, ბოლო-ბოლო ჩვენს ოთახში იმყოფებით, აღარ ააქვს მნიშვნელობა შემთხვევით თუ განგებ.

პირველი მრჩეველი-თანაც პრეზიდენტის სათათბირო ოთახში.

მეორე მრჩეველი-მგონი შენზე კარგად იცის სადაცაა.

(წვერებიანი კაცი მაღლა იყურება , ხმას არ იღებს.

პირველი მრჩეველი-(დაბნეული) კარგით რადგანაც არ გსურთ.....

მეორე მრჩეველი-დავიღალე, რამით გავერთოდ.

პირველი მრჩეველი-კონიაკი მაქვს წამოღებული, შენ ხომ ვერაფერს მოიფიქრებ. (ჯიბიდან კონიაკის პატარა ბოთლის ამოღებას დააპირებს)

წვერებიანი კაცი-სარაჯიშვილია?

(მრჩეველები გაოცებისგან შეშლებიან, ხვდებიან რომ არაამქვეყნიურ მოვლენასთან აქვთ საქმე)

წვერებიანი კაცი-(ფეხზე წამოდგება , მრჩვეულებთან მიდის, ბოთლს გამოართმევს, დახედავს და საუბარს იწყებს. საუბარი მონოლოგის ტიპისაა. ბოთლს დასუნავს.)

ეჰ რომ იცოდეთ როგორ ნერვიულობს დავითი...

(მრჩვეულები ერთად ეკითხებიან : ვინ დავითი?)

წვერებიანი კაცი-სარაჯიშვილი. აი ხომ ხედავთ სვამთ, თვრებით ტყვრებით ხობავთ , ბღავიხართ, ათას საშინელებას სჩადიხართ ამ კონიაკით და სახელიც კი არ იცით...

არა და როგორ ნერვიულობს რომ იცოდეთ.....მთელი სიცოცხლე ამ კონიაკის დაყენებას შეაღია და ახლა იქიდან გული უსკდება , ამდენ ფალსიფიცირებულ კონიაკს რომ ხედავს.

(პირველი მრჩვეული რაღაცის თქმას დააპირებს, წვერებიანი კაცი შეხედავს). ახლა ალბათ მკითხავთ სამართალდამცავი ხომ არ ვარ. არა ბატონებო, არა. რადგანაც კონიაკი იყო თემა მეც იძულებული ვიყავი მეთქვა იმ კაცის წუხილი. რაც შეეხება თქვენს სიზმარს,(პირველ მრჩვეულს) თქვენ უბრალოდ ადრე გამოიღვიძეთ ბატონო ჩემო, არ დაფიქრებულხართ სიზმარში, ეგება და იმ ქალს თქვენთან უნდოდა სექსი.... და არა თავის გაბლენცილ ქმართან, რომელსაც ისედაც არ აკლია ქალები. მაგრამ აქაც თქვენი სიხარბე თანამდებობის მიმართ,- თუ ამას თანამდებობა ქვია. თქვენ იმის შეგეშინდათ რომ მისი ქმარი არ დაენიშნა პრეზიდენტს თქვენს ადგილას...თუმცა რომც დაენიშნა დიდი არაფერი შეიცვლებოდა, უბრალოდ ადგილებს გაცვლიდით, თქვენ იმ ქალის ქმარი გახდებოდით, ის კი პრეზიდენტის მრჩვეული, რომელსაც თავისი ფუნქცია ვერა და ვერ გაუგია....ბოლო ბოლო ქმარი მაინც გერქმეოდათ. იქნება და ჯობდა ავეჯის ქარხნის დირექტორობა , თქვენს მრჩვეულობას.....რაც შეეხება პრეზიდენტს.....ის ახლა.....

(უცხად მიწისძვრის ბიძგების მსგავსი ხმაურია, სცენა ბნელდება.)

3 .

შუქი ინთება . პრეზიდენტი და თალეს შონია ზღვას გაჰყურებენ, უცხოპლანეტელი იქვე ახლოს ცურაობს.

უცხოპლანეტელი-(პირში წყალს ჩაიგუბებს და გადმოაფურთხებს) ეუჰ რა კარგი წყალია, ბავშვობიდან მიყავრს აქ ბანაობა, ბაბუას ჩამოყვავდი ხოლმე. ცურვაც ძალით მასწავლა. ერთხელ მარტო ვიყავი წყლის პირას და ვუყურებდი ბავშვები როგორ ცურაობდნენ. ბაბუა

მომეპარა და მითხრა :, რას დამდგარხარ შე შემარცხვენელო ვირიშვილოვო,, ამწია და წყალში გადამაგდო. მას შემდეგ....(კიდევ ჩაიგუბებს პირში წყალს და ახლა ტრაკიდან გამოუშვებს.)

პრეზიდენტი-უი, ეს რა ქნა? ტრაკიდან წყალი გამოუშვა ?

თაღეს შონია-ეს ამათი კუჭის გამორეცხვის წეს-მეთოდია.

პრეზიდენტი-აი რომ დამაძალონ მასე ვერ ვიზავ.

თაღეს შონია-ნუ ღელავთ, ქართული სუფრა ხომ არაა. იციან რომ ჩვენ ვერ შევძლებთ.

პრეზიდენტი-ვერც თქვენ?

თაღეს შონია-ერთხელ ვცადე, მინდოდა ამათთვის ერთგულება დამემტკიცებინა და....ვერაფერი გამომივიდა.

პრეზიდენტი-ერთგულება ბრძოლაში ვიცი, კუჭის გამორეცხვაში კი არა.

თაღეს შონია-კარგით ახლა , ნუ გამკიცხავთ. სხვის საქმეში ყველა ჭკვიანია, ეს კარგი იცით. ქართველები ყველას ჭკუას ვარიგებთ, არა და საკუთარი მამიდებისთვის ვერ მიგვიხედავს. უხ როგორ მეზიზღება ეს თვისება. ცივილურ სამყაროსაც კი ჩვენ ვარიგებთ ჭკუას, რათქმა უნდა ჩვენს გულებში, აბა სახალხოდ ვის ჭირდება. (პაუზა) მე მამტყუნებთ ? აბა წარმოიდგინეთ წამიყავნეს სამშობლოდან შორს და რა უნდა მეკეთებია..... თავიდან ვტბიროდი. საჭმელები არ მომწონდა. ცოლი იქ არ მყავდა და არაფერი. ერთხელ ჩავიჯვი კიდევ, ქალაღდიც ვერ ვიპოვე...უჰ თქვენ არ იცით აქ რა გადავიტანე.

პრეზიდენტი-ახლა ?

თაღეს შონია-ახლა ჩემს საპატივცემულოდ ბიო-ტულეტები დადგეს ყოველ ნაბიჯზე.

პრეზიდენტი-ახლა როგორ ძლებთ-თქო.

თაღეს შონია-ახლა ასაკში ვარ ცოლი აღარ მჭირდება.

პრეზიდენტი-ქვეყანა არ გენატრებათ-თქო ? ეგ უნდა მეკითხა.

თაღეს შონია-დამცინით?

პრეზიდენტი-რას ბრძანებთ.

თაღეს შონია-რომ წამიყვანეს მხოლოდ ორმა გაზეთმა დაწერა. დანარჩენები მასხრად მიგდებდნენ. გიჟათ შემრაცხეს. პატრიარქმაც დამამცირა,- ამერიკელების აგენტიაო.....როგორ მომენატრებოდა. გამწარებული ვიყავი. მწერალთა კავშირს რაღა

უნდოდა იმათაც დამგმეს. არა და არც ვყოფილვარ მწერალი, მითუმეტეს წევრი. სულ რაღაც ორი პუბლიკაცია გამოვაქვეყნე. რეები გადავიტანე რომ იცოდეთ.....

პრეზიდენტი-არც ჩვენ გადავიტანეთ ნაკლები.

თალეს შონია-ჩემს გამო?

პრეზიდენტი-თქვენ ვილას ახსოვდით. ომების ქვეყანად ვიქეციოთ. დაამატეთ ამ ყველაფერს შიმშილი. პურს ვნატრობდით. რიგში რომ ჩავდებოდით ისიც არ ვიცოდით მოგვიწევდა თუ არა, თუ მოგვიწევდა ისიც გამხმარი. ცხელი პური მხოლოდ მხედრიონელებს, გვარდიელებს და მათგან დაჩაგრულ პოლიციელებს მიჰქონდათ სახლში, პირდაპირ ქარხნიდან. პურებს ვახმობდით...ჰმ. კუჭის გამორეცხვები სანატრებელი გვქონდა. ან გამხმარ პურს რომ შეჭამ ორი წლის განმავლობაში, კუჭი როგორ უნდა გამოგვერეცხა, თვითონაც ერიდებოდა და მიეჩვია.

თალეს შონია-რას?

პრეზიდენტი-რას და გამხმარ პურს.

თალეს შონია-აქ ეგეც არ მქონდა.

პრეზიდენტი-რა, ხომ არ მოგენატრათ? (ირონიით)

თალეს შონია-არაა. ახლა უკვე მიჩვეული ვარ აქაურ კერძებს. ვისწავლე კიდეც. ხომ იცი ჩვენი ამბავი, ჩვენებურად ვკაზმავ ხოლმე. თუ რამე მინდა ამას ვაგზავნი თქვენთან.... ხომ იცით ჩვენებური სუნელები სულ სხვაა. (უცხოპლანეტელს გახედავს და დაუმახებს) ვიცი რომ არ იღლები, ხომ არ ამოხვალ?

უცხოპლანეტელი-მინდოდა მეთქვა, თქვენ ხომ არ ჩამობრძანდებით-თქო, პრეზიდენტი მაინც. ვიცი ცურვა ძალიან გიყვართ. (პრეზიდენტს)

პრეზიდენტი-არა მადლობთ, სადამოზე შეიძლება. ახლა მზეს ვერიდები, ახლოა მაინც.

თალეს შონია-ამოდი და მერე ერთად ჩადით.

პრეზიდენტი-ნამეტანი შვილივით ხომ არ ექცევით?

თალეს შონია-ჰეჰ, ეს ოხერი მართლა შვილივით მიყვარს. სულ პატარა იყო... არა ტანს არ ვგულისხმობ.

პრეზიდენტი-ჩვენს ისტორიას არ უყვებით ხოლმე? არ ეუბნებით რომ ბედკრული ხალხი ვართ?

თალეს შონია-ამათ ისედაც იციან, თანაც ყელში ამოუვედით. თქვენ რა გგონიათ, აქ გულხელდაკრეფილი ვზივარ? ამათაც ვემათხოვრები ხოლმე.....

პრეზიდენტი-დიდი ბიუჯეტი აქვთ? ეგებ ამათთან...

თაღეს შონია-არ გამოვა. ამათი ფული და ლითონი ჩვენთან არავის უნდა. რა, არიცით?
პრეზიდენტი ხართ ბოლოს და ბოლოს. რაზე ფიქრობთ?

პრეზიდენტი-აქ რას ვაკეთებ? ამის პროჭიდან წყლის გამოშვების საყურებლად ვარ
ამოსული? (გაბრაზდება) დედამიწაზე აღარავის ვუნდივართ, ყველას თავი მოვაბეზრეთ
ჩვენი პრობლემებით. მსოფლიოს ტვირთად ვაწევართ. ვიფიქრე ეგებ ამათთან მაინც
დავამყაროთ რაიმე სახის ურთიერთობა-თქო.

თაღეს შონია-მეც კარგად ვიგებ რა ხდება მანდ....

პრეზიდენტი-ჩემზე ბრაზობთ?

თაღეს შონია-რა გინდათ მოგეფეროთ. ან მე რა შემომღია აქ. ესენიც უვიცები და
გულუბრყვილოები არიან. ამას წინათ რუსის ქალები ამოიყვანეს.

პრეზიდენტი-სად არიან?

თაღეს შონია-უკან დააბრუნეს. მომისმინეთ. აქ ისეთი აგიტაცია-პროპაგანდა გასწიეს რომ.....

პრეზიდენტი-მერე თქვენ? თქვენ არ იმოქმედეთ? თუ ამათ პრეზიდენტთან სხვას უფრო
მიესვლება ვიდრე თქვენ.

თაღეს შონია-რად გინდა რა, რუსებმა მოხიბლეს.

პრეზიდენტი-არ თქვით პრეზიდენტთან რომ ოკუპანტები არიან?

თაღეს შონია-მე ვინ დამიჯერა. ვუთხარი მაგრამ....

პრეზიდენტი-რაო?

თაღეს შონია-ტრაკიდან წყალი გამოუშვა.

პრეზიდენტი-კუჭმა შეაწუხა?

თაღეს შონია-არა. ჩვენ.

პრეზიდენტი-ფილმები ჩამოვუტანე, მაინც არ შემხვდება?

თაღეს შონია-კარგ ხასიათზე დადექით?

პრეზიდენტი-რამე მეტყობა?

(პაუზა, კვლავ უცხოპლანეტელის ცურვას ადევნებენ თვალს.)

თაღეს შონია-რა ფილმებია?

პრეზიდენტი-(მათხოვრული, დადრეჯილი სახით.) შეუტანთ?

თაღეს შონია-გგონია ეგრე ახლოს ვარ? აქ თავისი წესებია. თავი არ უნდა მოაბეზრო. არ უნდა შეაწუხო. რამე ახალით უნდა გამოირჩეოდე, ნოვატორული წესით.

პრეზიდენტი-(წყალს გაჰყურებს, ნელ-ნელა დგება და წყლისკენ მიდის, პირში წყალს ჩაიგუბებს, ცდილობს რომ წყალი ტრაკიდან გამოუშვას. თაღეს შონია გაოგნებული სახით უყურებს. პრეზიდენტი ბოლომდე იჭინთება.)

თაღეს შონია-შეიშალეთ !

პრეზიდენტი-ხელს ნუ მიშლით ! მაცადეთ !

სცენა ბნელდება და პრეზიდენტის სათათბირო ოთახში ვბრუნდებით

4 .

პრეზიდენტის სათათბირო ოთახი.

წვერებიანი კაცი, პირველი მრჩეველი და მეორე მრჩეველი რიგ რიგობით დიდ ტელესკოპში იყურებიან.

პირველი მრჩეველი-შენ ხომ არ გახსოვს რა ფერის იყო? (2 მრჩეველს)

მეორე მრჩეველი-როგორ მემახსოვრება, ისე სწრაფად მოწყდა აქაურობას რომ...

პირველი მრჩეველი-(წვერებიანი კაცს) ეგებ ჩვენც გაგვახედოთ?

წვერებიანი კაცი-ფერი მაინც არ გახსოვთ, არც ის იცით რომელ პლანეტაზეა. რა აზრი აქვს.

მეორე მრჩეველი-თქვენ რაღას უყურებთ? წინაპრებს?

(პირველ და მეორე მრჩეველს სიცილი აუტყდებათ)

წვერებიანი კაცი-არა , თქვენნაირი კრეტინები კიდეც რომელ პლანეტაზეა , იმას ვეძებ.

პირველი მრჩეველი-მასხრობთ?

წვერებიანი კაცი-რა არის სამასხრო. რა ეგრე არ არის?

მეორე მრჩეველი-სამასხრო ისაა რომ ტელესკოპში არ იყურებით.

წვერებიანი კაცი-(თვალის ჩასახედს დახედავს) აბა ეს რა არის?

პირველი მრჩეველი-ეგ არა, გვერდით რომაა იქ უნდა ჩაიხედოთ. (სიცილი აუვარდება)

წვერებიანი კაცი-ჩვენ დროს სხვანაირები იყო, გასაშლელები. პირდაპირ ჩახედავდი და ბრძოლის ველი ჩანდა, რას გაუგებ.

მეორე მრჩეველი-ჯერ მთვარეს შეხედეთ აბა?

წვერებიანი კაცი-ეგ ხომ აქვეა, ეს რა ჯანდაბად მინდა. რაც არ მინახავს ის უნდა ვნახო.

მეორე მრჩეველი-მთვარე ნანახი გაქვთ?

წვერებიანი კაცი-მაცალეთ თუ შეიძლება.

პირველი მრჩეველი-ჩვენ საქმისთვის გვინდა ეგ ოხრობა.

მეორე მრჩეველი-მაგითი ვეძებთ ხოლმე.

პირველი მრჩეველი-მგონი უფრო დიდი ტელესკოპის მოტანა მოგიწევთ. ძან შორს წავიდა მე მგონი.

(ამასობაში წვერებიანი კაცი წვრებზე ხელს ნაზად ისმევს და მგრძნობიარედ გამოთქვამს „ააეეუფფ“, ერთ-ერთ სახლში ქალის და მამაკაცის სექსს უყურებს)

მეორე მრჩეველი-(პირველ მრჩეველს თვალს ჩაუკრავს) რაღაც ხდება.

წვერებიანი კაცი-(დაიბნევა) უჰ არაფერი ისეთი უცხო პლანეტა ვნახე. (ცრუობს)

რას არ ნახავს ადამიანი. ცოტაც მაცალეთ ეგება მე ვიპოვო.

პირველი მრჩეველი-არამგონია. გასცდა მგონი არეალს.

მეორე მრჩეველი-გახსოვს, შარშან რომელიღაც კუნძულზე რომ ვიპოვეთ.

პირველი მრჩეველი-კი, მე რომ არამომეცნო.....

მეორე მრჩეველი-ხო, კიდევ კაი ჯინსებზე მწვანე ბოტასები ეცვა, ხომ ვერ ამოიცნობდი.

პირველი მრჩეველი-ტელესკოპმაც გვიშველა, მთლად მასეც არ იყო.

მეორე მრჩეველი-მეც ხომ ამოვიცანი, მგონი ეგეც შარშან იყო. დიდი ხნით რომ წავიდა.

პირველი მრჩეველი-დიდი ამბავი, აფრიკაში იყო, შიშველ ხალხში ერთი ტანსაცმლიანის ამოცნობას რა უნდოდა.

მეორე მრჩეველი-(დაიმორცხვებს) თუ არ მიკვბინე...

პირველი მრჩველი-ჩვენ იმ დანარჩენ ათს ვჯობდით. გახსოვს , ისინი ადგილზე მიდიოდნენ და ვერ პოულობდნენ. ჩვენ ტელესკოპიდან ვპოულობდით.

მეორე მრჩველი-ხო და მაგიტომაც დაგვტოვა.

პირველი მრჩველი-არა. ხომ გითხარი არქეოლოგები რომ ვართ მაგიტომ.

მეორე მრჩველი-შენთან კამათს არ ვაპირებ. ან რას აიჩემე. ან პრეზიდენტს რათ უნდა არქეოლოგები. აი პროფესიის გარეშე ხალხიც ჭირდება თურმე. (წვერებიანი კაცისკენ გაიხედავს).

(წვერებიანი კაცი ამ დროს ეშხშია შესული და ისევ სექსის ყურებითაა დაკავებული, ტელესკოპს თვალს არ აცილებს).

პირველი მრჩველი-რა ნახა ასეთი.

მეორე მრჩველი-ნამდვილად ამან დაინახა, არ გვეუბნება, ქულების ჩაწერა სურს. ეტყვის მე დაგინახეთ და მე გიპოვეთ ბატონო პრეზიდენტოვო.

პირველი მრჩველი-(მივარდება წვერებიან კაცს) თუ შეიძლება ჩვენც გაგავხედეთ !

(წვერებიანი კაცი ისევ ჰიპნოზური სახით შეხედავს მრჩველს, 1 მრჩველი ჯდება)

წვერებიანი კაცი-მაცადეთ თუ შეიძლება, ნუ გეშინიათ, ის არ მიპოვია.

მეორე მრჩველი-უკეთესი რამ იპოვეთ?

პირველი მრჩველი-ეგებ გვატყუებს.

მეორე მრჩველი-თუ ვერ იპოვის იგივე დღე დაადგება...რაც სხვებს.

პირველი მრჩველი-მერე გვიანი იქნება, კრეტინო. ხომ გვეტყვის , თქვენ რას აკეთებდითო, ორ კაცს , ერთმა წვერებიანმა როგორ გაჯობათო. რა ვუთხრად, რა პასუხი გავცეთ....ხელის აწევით გვაჩერებდა-თქო? ასე არ გამოვა.....და საერთოდაც ვინ ბრძანდებით ბატონო! გარდა იმისა რომ სარაჯიშვილზე ლაპარაკი შეგიძლიათ , რა ქვია?ხო დავითი, და ჩემი სიზმრის გაგება. ასე ვერ შევთანხმდებით, ამას ვერ შევეგუებით.

(წვერებიანი კაცი ამდროს ისევ იმ მანერებითაა დაკავებული. წვერებზე ხელს ისვამს, „ეუუუჰჰჰჰ,, -ის შემახილითაა და ტანის მოძრაობით იყურება ტელესკოპში.)

მეორე მრჩველი-(საათზე დახედავს) ჰმ გავიდა დრო და ჩვენ ისიც ვერ დაგვიდგენია სად შეიძლება იყოს, არ თუ მოვებნეთ. რაღაც მართლა არ მომწონს ეს ამბავი, (წვერებიან კაცს შეხედავს) ამას დრო სპეციალურად გაყავს, ტელესკოპთან არ გვიშვებს. მგონი შეთქმულებას აქვს ადგილი. სპეციალურად მოგვიგზავნა.....

პირველი მრჩეველი-მერე მიზეზი ადვილად ექნება. ყველაფერს ჩვენ დაგვაბრალებს,-რატომ არ მომძებნეთო.....წადი და ამტკიცე მერე !

მეორე მრჩეველი-თანაც ვიღაც წვერებიანი ბომჟის გულისთვის!

პირველი მრჩეველი-რომელიც დიდი ალბათობაა რომ მისი გამოგზავნილია!

მეორე მრჩეველი-დავახრჩოოოოო ! (გაიწევს წვერებიანი კაცისკენ.)

(პირველი მრჩეველი შეაკავებს, წყალს დააღვინებს.)

წვერებიანი კაცი-აუუუუუჰჰჰჰ ...უუუუუუხხხ .. აააააა. (წვერებიანი კაცი ორგანოს განიცდის, ამოთქვამს შესაბამის ფრაზებს, ხმებს, ექსტაზში ვარდება.)

პირველი მრჩეველი-ეეე? ამას უყურეთ.....

მეორე მრჩეველი-რა არის? რა დაემართა?

პირველი მრჩეველი-ეეეეე? (გაოგნებული სახით უყურებს)

მეორე მრჩეველი-(წამოიყვრებს) რა მოხდა?

პირველი მრჩეველი-ეეეე...პრეზიდენტზე გაათავა....მე ამის დედა მოვტყან !

მეორე მრჩეველი-ეეე.... ჩვენს პრეზიდენტზე?

სცენა ბნელდება . წვერებიანი კაცი იჩოქებს და მოსთქვამს.

5.

უცხო პლანეტელთან.

უცხოპლანეტელი, პრეზიდენტი. თალეს შონია ერთ ერთ ქართულ ფილმს უყურებს, ჩაკეტილია.

პრეზიდენტი-გული სულ არაფერზე უჩუყდება?

უცხოპლანეტელი-არა მგონია. რაც პრეზიდენტი, მაგის ერთი ცრემლი არავის უნახავს. მამამისი ტრალიკულად დაიღუპა, პანაშვიდებზე და მით უმეტეს არც გასვენებაში არ მისულა. რკინის გული აქვს. ბავშვებსაც მხოლოდ საარჩევნოდ ეფერება, კამერების წინ.

პრეზიდენტი-....და შეწყალება ?

უცხოპლანეტელი-მაგ სიტყვის მნიშვნელობაც არ იცის. ნუუ შესაბამისად არც მე. (ილიმის)

პრეზიდენტი-როგორ გითხრად, აი პატიმარს რომ ვადაზე ადრე გამოუშვებ ციხიდან.

უცხოპლანეტელი-აპ აპ აპ აპ აპ.....რას ამბობთ . ციხეები გადაჭედულია. ახლა კიდევ ახალს აშენებს. არ უყვარს დამნაშავეები. განსაკუთრებით მოძალადეები. ბავშვობაში თოჯინა წაართვის დიდმა ბიჭებმა.

პრეზიდენტი-როგორ, თოჯინით ერთობოდა ?

უცხოპლანეტელი-ხო მძიმე ბავშვობა ჰქონია, ვინ უყურებდა მაშინ გოგოს და ბიჭის სათამაშოს, მეზობლის ქალს უჩუქებია. თურმე იმას გოგო უნდოდა და წინასწარ უყიდა საჩუქარი მომავალი შვილისათვის. შემდეგ ბიჭი შესძენია. მერე, უფიქრია : „ჩემს ბიჭს თოჯინით ხომ არ ვათამაშებო,, და ჩვენი პრეზიდენტისთვის უჩუქებია.

პრეზიდენტი-არა ბავშვობაში მეც კი მქონდა თოჯინა, მაგრამ, კაცები ხო იცი, მალე ვამტვრევთ ხოლმე თოჯინებს.

უცხოპლანეტელი-ამას ვინ აცალა დამტვრევა. ქუჩაში ახალი გამოტანილი ქონდა რომ ვიღაც სამმა უცხომ ეგრევე წაართვა, ხელიდან გამოგლიჯეს.

პრეზიდენტი-არც მაშინ უტირია?

უცხოპლანეტელი-როგორც გადმოცემები ამბობენ არა. გაკიდებია მაგრამ ვერ დაეწია თურმე.

(პრეზიდენტი ჩაფიქრდება, პაუზაა. ადგება გაივლის , გამოივლის, შემდეგ ისევ დაჯდება.)

პრეზიდენტი-როგორ ესალმებიან ხოლმე, თავს უქნევენ? თვალეზში უყურებენ? რამე საამებელ სიტყვას ეუბნებიან?

უცხოპლანეტელი-ზუსტად ვერ გეტყვით. სახელმწიფო სტრუქტურაში არასდროს მიმუშავია, შეხება არ მქონია, მხოლოდ დიპლომატიური პასპორტი მოვიგე გათამაშებაში. კერძო ფორმებში ვმუშაობდი. სულ მეზიზღებოდა ის შენობა. მთავრობა არ მიყვარს, თავისუფალი კაცი ვარ. ისე ტელევიზორში უღიმიან ხოლმე, თავს უქნევენ?

პრეზიდენტი-მერე? მერე იმას რა რეაქცია აქვს?

უცხოპლანეტელი-არაფერი.

პრეზიდენტი-როგორ, სულ არაფერი? საჩუქრები? საჩუქრები უყვარს?

უცხოპლანეტელი-ხელს არ კიდებს. ბავშვობაში დედას გაუფრთხილებია „საჩუქრებს ხელი არ მოკიდო უზრდელობააო,,.

პრეზიდენტი-გადავირიე კაცი. უცხოელებს ხვდება?

უცხოპლანეტელი-მაგისტვის ყველა უცხოელია.

პრეზიდენტი-თქვენც?

უცხოპლანეტელი-ხომ გითხარით თ-ების გარეშე, შინაურულად მომმართეთ.

პრეზიდენტი-არც შენ შეგხვდება?

უცხოპლანეტელი-კარგი მეხსიერება აქვს, შარშან მემარჯვენეების მიტინგზე დამინახა. არა მგონია.

პრეზიდენტი-როგორ, მემარჯვენეები არ უყვარს?

უცხოპლანეტელი-არა. ბავშვობაში დიდი პაპა დაუჭირეს თურმე გაფლანგვაზე, მემარჯვენეებმა. რაც ეს მოვიდა კონსტიტუციიდან სიტყვა მემარჯვენეც კი ამოიღეს. ვერ ივიწყებს. არა და რეფორმები სულ მაგათი იდეოლოგიით გაატარა.

პრეზიდენტი-როგორ, იდეოლოგია მოპარა?

უცხოპლანეტელი-ამბობს რაღაც წიგნი წავიკითხე და იქ აღმოვაჩინე ახალი იდეებიო.

პრეზიდენტი-რამდენი ენა იცის? მეზობლების ენა თუ იცის?

უცხოპლანეტელი-ჩვენ ხომ ყველა ენაზე ვსაუბრობთ და გვესმის. აი თუნდაც მე და შენ.

პრეზიდენტი-(დაიმორცხვებს, თავს ხრის.) სულ გამოვშტერდი. ვეღარ ვაზროვნებ. ესეიგი ჩემს ენაზე დამელაპარაკება. მაგრამ რა თემაზე ჩამოვუგდო საუბარი, ისტორიები ზეპირად ვიცი ქვეყნების მაგრამ, აი თქვენი პლანეტის რომ ვიცოდე...არა უშავს, მოვახერხებ რამეს .

უცხოპლანეტელი-თუ მიგიღოთ, ოღონდ.

პრეზიდენტი-ნუ მამძიმებთ.

უცხოპლანეტელი-თ-ს გარეშე, ხომ გთხოვე.

პრეზიდენტი-მაპატიე. გაბრუებული ვარ.

უცხოპლანეტელი-ხომ არაფერს დალევ ?

პრეზიდენტი-არა, გუშინწინაც სუფრაზე გახლდით. საწარმო გავხსენით. ამ ბოლო დროს ვეღარ ვსვამ, მალე მეკიდება. ხო იცი ასაკს თავისი მიაქვს. სტუდენტი ბიჭი აღარ ვარ, ლექტორებთან რომ თავს ვიწონებდი. სამდღიანი ნაბახუსევი დამჩემდა ამ ბოლო დროს. (პაუზა) სვამს?

უცხოპლანეტელი-ვინ კაცო?

პრეზიდენტი-პრეზიდენტი, რა დაგემართა?

უცხოპლანეტელი-არა. სულ ვარჯიშობს. ბავშვობაში დედამ მაგარი არაყი დააღვინა და მას მერე სძულს სასმელი. საერთოდ თავს უფრთხილდება. მხოლოდ ნატურალურს ჭამს ყველაფერს. ყველანაირ საფრთხეს ერიდება. ოჯახიც არ ყავს. მეორენახევრის ინსტიტუტს არ ენდობა. ამბობს-ადამიანი ერთი და განუმეორებელი უნდა იყოსო.

პრეზიდენტი-პრეზიდენტი კაცია, უნდა დალიოს. ცოტა მაინც. ბავშვობაში მეც არ მიყვარდა მაგრამ....ცოლის ამბავშიც მთლად მართალი არაა. უნდა ყავდეს, საჭიროა. ისე თქვენც არ გყავთ ხო ?

უცხოპლანეტელი-თემა ამოვწუროდ. (უდიმის) თქვენებური სასმელი მაქვს, ხომ არ გადაიფიქრებ?

პრეზიდენტი-სიამოვნებით, ოღონდ მას შემდეგ რაც...თორემ ჩემი ხასიათი რომ ვიცი ყელში არ გადავა, სადღაც შუაში გაჩერდება. (ღიმილით)

(უცბად ოთახიდან გამოვარდება თალეს შონია შემახილით:)

თალეს შონია- ვიცითიიი ! ვიცითიიი! მოვიფიქრეეეეეეეეე!....

6.

(წვერებიანი კაცი სცენის შუაგულში მუხლებზე დგას, განმარტოებულია.)

ღმერთო მაპატიე. მაპატიე. მაპატიე ჯერ ის რომ შენს დაუკითხავად ჩამოვედი ამ ცოდვილ მიწაზე. რომ შენს დაუკითხავად გადავწყვიტე ჩემს ქვეყანაში ჩამოსვლა....მაგრამ რა მექნა . ვეღარ მოვითმინე ამათი უბედურება...ვიფიქრე რამეში გამოვადგები.....ამ ორ ჩერჩეტს (მრჩველეებისკენ იხედება) რამეში წავადგები-მეთქი.....მაგრამ.....თვითონ გავხდი დასახმარებელი. (პაუზა) ეს რა დამემართა. ადრე ეს არ მომსვლია. მსგავსი ცუდი ფიქრიც კი არ გამივლია და არ მომსვლია თავში. წესიერი კაცი ვიყავი სულ მუდამ. არავისკენ გამიხედავს, ჩუკუნობაც არ მომსვლია თავში აზრად. ერთხელ ჩემმა ბატონმა ვაგლახი ქალი მომიყვანა ქალაქის საუკეთესო ბორდელიდან.....უარი ვთქვი, შემრცხვა. ახლა რა დამემართა არ ვიცი. ან ამ ეშმაკის გასაჭვრეტში რამ გამახედა. პრეზიდენტს ეძებდნენ....ჯერ ეს პრეზიდენტი რა ჯანდაბაა, რანაირად იცვამს, ფიქრობს ან ჭამს.....ყველაფერს თავისით აკეთებს თურმე მეფისგან განსხვავებით. ძალიან თავნებაა თურმე.....სადღაცას წასულა, დაკარგვია ამ ორ ჩერჩეტ მრჩველს. ვიფიქრე დავეხმარები, მოვამებნინებ ქვეყნის

მეთაურსთქო.....ხომ იცი ღემრთო, ეს ქვეყანა უმეთაურობას ვერ იტანს. ხალხი ტუტუცდება და თავის ნებაზე იწყებენ სიარულს, მერე ტვინი ეცლება და სისულელეებს სჩადიან.....ვიფიქრე მოვამებინებ-თქო..... თვალი ისევ კარგი მაქვს. (პაუზა).....უუუუუხ! გახსენებაც არ მინდა, მზარავს რომ მახსენდება. (პაუზა. ცაში იყურება.) არა, თავიდან ფერებმა მიმიზიდა. ვარდისფერი ბავშვობიდან მიყვარდა. ჩემს ბატონს ვარდების ბალი ჰქონდა.....ეს რა დამემართა.....ცოლ-ქმარი იყვნენ, ვარდისფერები ეცვათ. ჯერ ნელ-ნელა დაიწყეს ბლალუცი , იქვე ეშმაკის ყუთი ჰქონდათ ჩართული.....ვიფიქრე თამაშობენ-თქო, ბავშვობაში თამაშიც მიყვარდა , ჩემს მეზობელ მართასთან ვთამაშობდი ხოლმე. მერე.....მერე ეს რა ვნახე ღემრთო.....ქმარმა პირით გახადა ყველაფერი. არა, პირი საჭმელისთვის ვიცოდი, თურმე..... არა, ჩვენს დროს ხელებს ვხმარობდით.....მაგან შემიტყუა, დამაინტერესდა პირით რას იზამს-თქო. არა არც ის ქალი იყო უქმად, ხელების მაგივრად ისიც პირს ხმარობდა. ვიფიქრე ხელები გაშეშებული ხომ არ ააქვთ-თქო. მოკლედ ვეღარ მოვითმინე. ბოლომდე ვუყურე. გველებივით იკლაკნებოდნენ ერთმანეთში. ის ეშმაკის ყუთი ისევ ჩართული იყო. ვეღარ გავიგე რა ხდებოდა. მერე, ქალმა კაცი დააბა, ამას რას მოვესწარი....ზედ თავზე დააჯდა და ცეკვადა....მერე ქალი დააბა კაცმა.....იმნაც იგივე გაუკეთა..... სოდომ-გომორი გამახსენდა.....(პაუზა) უუუუუხ ! რეებს ვამბობ. სულ შევიშალე. ვცდუნდი, ვიფიქრე ღემრთო, - შენ ისეთი დიდი თვალი გაქვს რომ ამ პატარა ჭუჭრუტანაში ვერ გაიხედებოდი.....ვცდუნდი , მეგონა რომ მხოლოდ მე ვხედავდი მარტო ამ ყველაფერს.....ნეტარყურობის მსხვერპლი გავხდი. მაპატიე ღემრთო. თავიდან მართლა პრეზიდენტის დანახვა მინდოდა იმ ჭუჭრუტანაში.....შემეცოდნენ, სულ ასე ეძებენ თურმე.....ის კიდე ხან სად არის და ხან სადამათაც, რა გზა აქვთ..... ჰმ , ახლაც ერთ გადაკარგულ მიწიერს და ერთ უცხოპლანეტელს წაუყვანიათარ გამოჩნდა . თურმე აქ ვეღარავისთან ამყარებს ურთიერთობს და ქვეყნის კურსი უნდა რომ შეცვალოს.... უნდა რომ რომელიმე უცხო პლანეტისკენ აიღოს კურსი, იმათი დახმარების იმედი აქვს. სულ შეიშალა..... თითქოს რა ჩემი საქმე იყო მაგრამ,.....ჩემი ქვეყანა.....(პაუზა) თანაც ძველი დრო გამახსენდა..... ჩემი ბატონიც ასე იკარგებოდა ხოლმე. ვიყავით მერე ასე ერთ უბედურ ამბავში....ძირითადად ახლომახლო სოფლებში ვეძებდით. ბოლოს თვითონ გამოჩნდებოდა ხოლმე. ჩემი თავი გამახსენდა, შემეცოდნენ.(პაუზა) ატყუებს აშკარად.ჰმ მიწაზე რომ არავის უნდიხარ, არავის ემეგობრები, ცაში ვის ენდომები. ალბათ ისინიც მოატყუებენ. მე კიდევ.....უუუუუხ რა მინდოდა რა ! რას ვიჭყიტებოდი რას !.....(პაუზა) ხომ მაპატიებ ღემრთო. ვგრძნობდი რომ არ გინდოდა, ეს რომ მომსვლოდა. იმიტომაც იყო , სხვა გასაჭვრეტში ვიყურებოდი თავიდან. ახლა ვხვდები რომ შენ მფარველობდი, მაგრამ ამ ორმა ჩერჩეტმა რომ დამცინა, მერე გავიხედე ნამდვილ გასაჭვრეტში. (პაუზა. ნელ-ნელა დგება , მალლა იხედება და ნელა წარმოთქვამს.) ეეეე ღემრთო, ისე რომ იცოდე ამათი ბრალია. ამათ მითხრეს რომ მეორე გასაჭვრეტში გამეხედა თორემ ჩემით რას მოვიფიქრებდი მაგას....ხედავ ღემრთო! მთლად ჩემი ბრალიც არ ყოფილაა არააააა! არააააააა ! (დაბლა ეცემა)

7.

თაღეს შონია, უცხოპლანეტელი. პრეზიდენტი ჩადინებულია.

უცხოპლანეტელი-რას გავს ეს.

თაღეს შონია-რას გულისხმობ.

უცხოპლანეტელი-ჩემზე თბილად ექცევით. ძალიან შეიცვალეთ, არ მომწონს.

თაღეს შონია-ნუ ეჭვიანობ, ხომ იცი ამაგი მაქვს შენზე.

უცხოპლანეტელი-მერე, ასე უნდა მომექცეთ. გაუცხოებული ვარ....ვერ გცნობთ.

თაღეს შონია- თავის მოკვლა რომ სცადეთ და გადაგარჩინე, მაშინ ხომ მცნობდი.

უცხოპლანეტელი- მაყვედრით .

თაღეს შონია-ვერ გავიგე რა გინდა, ან რა გწყინს.

უცხოპლანეტელი-იმას ყველაფერს ეუბნებით. მე თითქოს არ ვარსებობ.

თაღეს შონია- ნუ იბუტები ბავშვივით. სახელმწოფო საქმეებზე ველაპარაკები, მეცოდება მაინც. ხომ იცი შვილვით მიყვარხარ.

უცხოპლანეტელი-აბა მაშინ მე რატომ არ მეუბნები რა მოიფიქრეთ.

თაღეს შონია- რა ? რა მოვიფიქრე ? (დაბნეულია)

უცხოპლანეტელი- აი ჩვენს პრეზიდენტთან შეხვედრაზე, რა მოიფიქრეთ.

თაღეს შონია- აა, არაფერი ისეთი, მისთვისაც არ მითქვამს. გგონიათ ყველას ყველაფერს ვეუბნები რასაც ვფიქრობ ? ბოლო-ბოლო მეც ხომ მაქვს უფლება, ვიფიქრო რაც მინდა, თან ისე რომ არავის არაფერი ვუთხრა.

უცხოპლანეტელი-არ ვიცი. მე მხოლოდ იმას ვგრძნობ რომ ძალიან გადაყევით. ეჭვი გამიჩნდა. აღარ ვიცი ვინ უფრო გიყვართ ? ის თუ მე.

თაღეს შონია- ხომ გითხარი, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი. ის ხო არ არის ვიღაცა. ვალდებული ვარ რომ დავეხმარო. აქ ხომ მაგიტომ წამოვიყვანეთ. შენ კიდევ ეჭვიანობ აქ.

უცხოპლანეტელი-რამდენხანს იქნება აქ ?

თაღეს შონია- სანამ თქვენს პრეზიდენტს არ შეხვდება.

უცხოპლანეტელი- ჩათვალეთ რომ საცხოვრებლად გადმოსულა .

თაღეს შონია- მოვლენებს ნუ გაუსწრებთ. რას გასწავლიდით.

უცხოპლანეტელი- ყველაფერი დამავიწყდა. (თავს ხრის)

თაღეს შონია- ხომ გთხოვე ნუ იბუტები -თქო. მართლა შვილივით მიყვარხარ.... აწიე თავი. სულ პატარა იყავი რომ...(თვალეზზე ხელს აიფარებს, კურცხალი წამოუვარდება.) რამე დაგაკელი ? ამხელა კაცმა შენი გულისთვის ბორდელშიც კი დავიწყე სიარული.

უცხოპლანეტელი-კაცო , ვეღარ გავიგე, ბორდელია თუ ბარდელი სწორი ?

თაღეს შონია-შენ რაც გინდა ის დაუძახე. ოღონდ აღარ იეჭვიანო.(პაუზა) იქნებ რამე დაგაკელი ?

უცხოპლანეტელი- არაფერი მაგრამ, მასთან ასე აღარ მომეცეთ.

თაღეს შონია-ახლიდან ვიწყებთ ? ისე თქვენც კარგად კურკურებდით.....რა, მეც ვიეჭვიანო ?

უცხოპლანეტელი- გული მეტკინა. რა არ ვიფიქრე.

თაღეს შონია- არ შეიძლება.

უცხოპლანეტელი- მართლა არ წავა ჯერ ?

თაღეს შონია- ჯიუტი ხასიათი აქვს...სანამ არ შეხვდება არ წავა. თავისებურია.

უცხოპლანეტელი-ჩემი კლასელი მაინც იყოს.

თაღეს შონია- ვინ ?

უცხოპლანეტელი- ვინ და ჩვენი პრეზიდენტი...რადაცას მოვახერხებდი მაინც. შეიძლება თქვენს ქვეყანაში ვიზიტიც შემეთავაზებინა. კლასელებს ძალიან ვუყვარდი.

თაღეს შონია- ახლა ოცნების დრო არ არის. ბევრი საფიქრალია.

(პაუზაა. უცხოპლანეტელი ჩაძინებულ პრეზიდენტს დახედავს.)

უცხოპლანეტელი- ძალიან ემოციურია. ასე არ შეიძლება.

თაღეს შონია- გადაიღალა. არა და უშრეტი ენერგია აქვს.

უცხოპლანეტელი- რამ დაღალა ? ყანა გათოხნა ?

თაღეს შონია- მაგ ხუმრობას უსაქმურებზე ხმარობენ, ხომ გასწავლე.

უცხოპლანეტელი- მაპატიეთ, განმარტება აღარ მახსოვს.

თალეს შონია- ყველაფერს თვითონ აკეთებს. არავის ენდობოდა და თავი მუდმივ პრეზიდენტად გამოაცხადა. მეცოდება კიდევ მაგრამ....

უცხოპლანეტელი- არა და რა კარგი აღნაგობა აქვს.

თალეს შონია- შენ ჩვენი მეფეები არ გინახავს. მთასავით მხარბეჭიანები ყოფილან. ცხენზე რომ ჯდებოდნენ ფეხებს მიწაზე მიათრევდნენ.

უცხოპლანეტელი-მახსოვს, ადრე მიყვებოდით. ვახტანგი ერქვა, თუ არ ვცდები.

თალეს შონია-სწორედაც და არა მარტო ეგ. ახლა, ახლა კი....(პაუზაა, პრეზიდენტს დაჰყურებს)

უცხოპლანეტელი- ალბათ დილამდე ეძინება.

თალეს შონია- არა მგონია. თანაც სადაა მაგდენი დრო. (ჩანაფიქრი გაახსენდება და ოთახში სიარულს იწყებს) ჩვენ მანამდე ხომ არ დაგველია ?

უცხოპლანეტელი- გუშინ ბლომად დავლიე. თავი მტკიოდა.

თალეს შონია- ხო და მით უმეტეს, არაყი მოგიხდება.(ჭიქებს თაროდან მაგიდაზე დებს და გადანახულ არაყს ასხამს.)

უცხოპლანეტელი- (ჭიქას დასუნავს) ჭანჭურია ?

თალეს შონია- შერეულია. აღარც მახსოვდა ახლახანს ოთახს ვალაგებდი, ჩანთაში დამრჩენია. კარგი უნდა იყოს.

უცხოპლანეტელი- (დაყნოსავს) უუუჰჰ, ვენაცვალე. (ბოთლს აიღებს და გაანჭყრევს.) აუჰ რა ჯაჭვი აქვს.

თალეს შონია- ხო, მეც ორნახადი მგონია, ძალიან ნუ შევყვებით.

უცხოპლანეტელი- აბა გაგვიმარჯოს. (ჭიქას მაღლა წევს)

თალეს შონია- უხ შე მამამაღლო, ხომ გითხარი ასე რუსები სვამენ-თქო. სადღეგრძელო თქვი.

უცხოპლანეტელი- თქვენებურად ხო ?

თალეს შონია- როგორც შენ გინდა.

უცხოპლანეტელი- ღმერთს დიდება ჩვენ მშვიდობა.

თალეს შონია- უყურე ამას შენ . აბა გაგვიმარჯოს.

უცხოპლანეტელი- გაგვიმარჯოს. (პაუზა) იცით რა გამახსენდა სწორედ ამ წუთას ?

თაღეს შონია-რა გაგახსენდა ? ამ შუადამისას ?

უცხოპლანეტელი-რა და სახლში რომ მოგადექით პირველად.

თაღეს შონია-ოოო მაგას რა დამავიწყებს. არა და ზუსტად მაგ დროს ახალ ნაშრომზე ვმუშაობდი.

უცხოპლანეტელი-„ციური სხეულები და მათი თანაარსებობა ჩვენთან,, თუ სწორედ მახსოვს.

თაღეს შონია-ჰაჰ, კარგი მეხსიერება გაქვს-თქო ხომ გეუბნები.

უცხოპლანეტელი-არ ვუჩივი.

თაღეს შონია-მეზობლის გოგო რომ შემიშინე და დამიფრთხე ის თუ გახსოვს. ჰა ჰაააა.

უცხოპლანეტელი-კი როგორ არა. დასანახავად ვერ მიტანდა. რა გინდა კარგი საქმე კი გაგიკეთე, ტელეფონზე დასარეკად აღარ შემოდოდა.

თაღეს შონია-ოოო ეგ კი. თანაც ხომ იცი როგორ არიან თექვსმეტი წლის გოგოები...ტელეფონზე საათობით ჩამოეკიდებიან და შეყვარებულ ბიჭებს გულს უწვრილებენ.

უცხოპლანეტელი-ეჰ მე რომ თექვსმეტი წლის ვიყავი...

თაღეს შონია-გაჩერდი შე მამაძაღლო. რა დროს შენი ეჰ და უჰ არის. დარდი არ გამაგონო.

უცხოპლანეტელი-არა. უბრალოდ გამახსენდა. ერთ გოგოს მოვწონდი.

თაღეს შონია-მერე ?

უცხოპლანეტელი-დედაჩემს არ მოეწონა. უცნაური ქალია.

თაღეს შონია-ჩემთვის არ გითქვამს ?

უცხოპლანეტელი-ისეთი არაფერი. მოსაყოლიც არაფერი იყო. უბრალოდ დედაჩემზე გავბრაზდი.

თაღეს შონია-არაა ლამაზი.

უცხოპლანეტელი-კი დავრჩი ასე, რას ეძახით ? შინა ბერა თუ, რაღაც...

თაღეს შონია-ბერბიჭა. კაცებზე მაგას ამბობენ.

უცხოპლანეტელი-ხო. ბერბიჭა.

თაღეს შონია-ნუ სულელობ.

უცხოპლანეტელი-ვიღას უნდიხარ. ბებერი ემიგრანტი თუ დაგადგამს თვალს.

თაღეს შონია-ჩუ შე მამაძაღლო. რა გითხარი? დარდი არ გამაგონო-თქო. მშვენიერ ფორმაში ხარ. წელს უნდა დაგაქორწინო, კაცი არ ვიყო.

უცხოპლანეტელი-მერე ესენი? (მშობლებს გულისხმობს თავის ქნევით.)

თაღეს შონია-მაგათ ჯერ არაფერს ვეტყვით. დამიჯერე და ყველაფერი ისე იქნება როგორც ჩვენ გვინდა.

უცხოპლანეტელი-სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. ცოლი. კარგი რამეა. უხ ! თქვენი მჯერა!

თაღეს შონია-ხო და ყველაფერს მოვაგვარებთ. (მძინარე პრეზიდენტს დახედავს.) ჯერ ამის საქმეს მივხედოთ. არანაკლებ მთავარია ეგ.

უცხოპლანეტელი-ეჰ, ისევ სძინავს. მემგონი მეც გამოვთვერი. ხომ არ დავიძინო.

(სცენა ძალიან მცირე ხნით ბნელდება და განათებისას თაღეს შონია და უცხოპლანეტელი მთვარელები არიან. თაღეს შონია მძინარე პრეზიდენტს კიდევ ერთხელ დახედავს.)

თაღეს შონია- საწყალი. დაიღალა.

უცხოპლანეტელი- იქნებ მძინარეს აკოცოთ კიდევ.

თაღეს შონია- ნუ ბოდიალობ რაღაცას. დაისხი. (თავადვე უსხავს არაყს.)

უცხოპლანეტელი- ეხ, ცხრა სახარება და გახარება. (თაღეს შონიას უახლოვდება და მის მხარზე ჩამოეძინება. თაღეს შონია ჩამინებულ უცხოპლანეტელს დააწვენს, პრეზიდენტს აღვიძებს. სცენა ბნელდება.)

8.

პრეზიდენტი , თაღეს შონია. უცხოპლანეტელს სძინავს. თაღეს შონია სკამზე ზის, ხელში ფურცელი და კალამი უჭირავს და სქემას დაჰყურებს, პრეზიდენტი თავზე ადგას.

თაღეს შონია-სუუ, სუუუ , არ გაიდვიდოს. დაჯექით.

პრეზიდენტი-სულ ასე ათრობთ ხოლმე? (სკამზე ჯდებია.)

თაღეს შონია-არა ბიჭო, ვინმეს დავეჩაგვრინები. ამათ ის ხო არა გონიათ.

პრეზიდენტი-კიდევ კაი დათვრა.

თაღეს შონია-რომ იძინებს აღარაფერი ესმის. კარგი ჩვევა აქვს..

პრეზიდენტი-ის რომ დავათროდ ?

თაღეს შონია-არ სვამს, პრეზიდენტია.

პრეზიდენტი-ხოლო ეგ ვიცი, დედამისის და არყის ამბავი. (ჩუმად იცინის)

თაღეს შონია-თანაც დაღევას რა აზრი აქვს, ხომ გამოიღვიძებს გამოფხიზლებული. ისევ ისეთი გულქვა იქნება. რა შეცვლის.

პრეზიდენტი-მაშინ მალე.....აღარ გამიძხელთ რა მოიფიქრეთ?

თაღეს შონია-რა სულსწრაფი ხართ.

პრეზიდენტი-რა ვქნა. ბავშვობიდან ასეთი ვარ . ჩემი ბრალი ხო არაა.

თაღეს შონია-არა, ამათი...

პრეზიდენტი-ნუ მკიცხავთ ასეთ მდგომარეობაში.

თაღეს შონია-შარშანაც ასე იყავით, არაფერი მაცადეთ. საქმე ჩაშალეთ. გახსოვთ?

პრეზიდენტი-(თავს ხრის) მრჩეველების ბრალი იყო.

თაღეს შონია-ჩუ ! იმათ ნუ აბრალეხთ. საქმის ყურში ვიყავი. ჩემთან ეგ არ გაგვივით, ნუ მატყუებთ.

პრეზიდენტი-უჰ, ბოლოს და ბოლოს თქვენ მითხართ რამე მაგარი დავაღვეინოთ...

თაღეს შონია-მერე ის გითხართ რომ არყის მაგივრად პერეკისი დაგესხათ უცხოპლანეტიდან ჩამოსული ემისარისთვის. კიდევ კარგი მოკვდა თორე ჩამომახრჩობდნენ იმათი კანონებით. უიტ ! ჩუმად იყავით. პატარა ბავშვი არ ვარ.

პრეზიდენტი-არც მიკადრებია...არც მახსოვს პერეკისს რა უნდოდა იმ ბოთლში.

თაღეს შონია-ჰმ, იქნება ეგეც მითხრათ რომ თქვენი მოკვლა სურდათ.

პრეზიდენტი-რატომ გამორიცხავთ?

თაღეს შონია-კარგით რა , ნუ მასუღეღებთ. აკი თქვენი ხელით ასხამთ ბოთღებში სასმელს.

პრეზიდენტი-გეფიცებით ასეა. როგორ მოხვდა მართღა არ ვიცი.

თაღეს შონია-არც მე ვიცი და არც მაინტერესებს. ფაქტია რომ სტუმარი დაიღუპა და მეც გადარჩენიღი ვარ.

პრეზიდენტი-თქვენი ცუდი არასდროს მღომებია. რას ამბობთ.

თაღეს შონია-ხომ შეიძღება მეც დამეღია? ა ? გიფიქრიათ ?

პრეზიდენტი-ღმერთმა დაგვიფაროს.

თაღეს შონია-ღმერთი რაღას გიშვეღიღათ. მოვკვღებოღი.

პრეზიდენტი-თავს არ ვიცოცხღებღი.

თაღეს შონია-თავს მოიკღავღით ?

პრეზიდენტი-არც დავფიქრღებოღი.

თაღეს შონია-გაჩუღდიღთ, ნუ სუღეღობთ.

პრეზიდენტი-ვჩუღდებღი, ისეღაც ჩუღად ვღაპარავობთ.

(პაუზა. უცხოპღანეტელს შეხეღავენ)

პრეზიდენტი-ასე ღიღხანს ეღინება ?

თაღეს შონია-იღდენს , რამღენიც ჩვენ გკჭირღება.

პრეზიდენტი-თქვენც კაი კონსპირატორი ხართ.

თაღეს შონია-სამშობღოში ვერ დამაფასეს.

პრეზიდენტი-ღიღ ადამიანებს ასე ემართებათ.

თაღეს შონია-ნუ თვალთმაქცობთ. (იუღორით. ეშმაკურად შეხეღავს)

პრეზიდენტი-მე? (წამოიყვირებს)

თაღეს შონია- ჩუუუ. შეიშაღეთ. რას აკეთებთ.

პრეზიდენტი-ციღისწამებას ვერ ვიტან, ნერონიღით ვარ.

თაღეს შონია-ვერც ეგ იტანღა?

პრეზიდენტი-ნუ დამცინით.

თაღეს შონია-თქვენ კიდევ ნუ გწყინთ ყველაფერი.

(უცბად უცხოპლანეტელი ძილში ჩახველებს. პრეზიდენტი პანიკაში ჩავარდება.)

პრეზიდენტი-რა ხდება ? რამე ხომ არ შეგეშალათ ?

თაღეს შონია-(გახედავს უცხოპლანეტელს) არა, ასე იცის ღრმა ძილში. სწორედ ახლა სძინავს მკვდარივით.

პრეზიდენტი-მკვდარივით?

თაღეს შონია-რა , ეს გამოთქმა პირველად გაიგეთ ? არ გაგიგიათ? მართლა გადამრევთ.

პრეზიდენტი-სულ დამავიწყდა ყველაფერი. რა ჩემი ბრალია.

თაღეს შონია-კარგით ჩუმად იყავით. ეგ თქვენი ქართული ფილმების დისკები მომაწოდეთ და წავედით აქედან.

პრეზიდენტი-რაა? (დაბნეულია)

თაღეს შონია-გაკეთეთ რასაც გელაპარაკებით და წამომყევით.

(პრეზიდენტი და თაღეს შონია უჩინარდებიან. სცენა ცოტახნით ბნელდება , ჭექა-ქუხილის ხმაა, ხმის დროს ინთება სცენა და უცხოპლანეტის პრეზიდენტის სასახლე ჩანს, სადაც თაღეს შონია და სტუმარი პრეზიდენტი მიიპარებიან. სცენა ისევ ბნელდება. ჩანს რომ უცხოპლანეტელი პრეზიდენტის სასახლეში მიიპარებიან.)

9.

პირველი მრჩეველი, მეორე მრჩეველი.

სახელმწიფო კანცელარიის კაფე.

პირველი მრჩეველი-შენ გაიხარე, დიდი ხანია ასე გემრიელად არ მიჭამია იმერული ხაჭაპური.

მეორე მრჩეველი-ქალბატონ ეველინას კარგი ხელი აქვს. ისე მენატრებოდა მისი გაკეთებული ხაჭაპური რომ...

პირველი მრჩეველი-მსგავსს ვერსად ვერ აკეთებენ.

მეორე მრჩეველი-უკ რას ამბობ გაგიჟდი. მომენატრა. რაც იმ ოთახში ვართ გამოკეტილი...იმდენი რამე მომენატრა რომ.....

პირველი მრჩეველი- ნეტა ყველაფერი კარგად დამთავრდებოდეს და.....მერე ნახე შენ ხაჭაპურიც და საერთოდ სუფრები.

მეორე მრჩეველი-გული გამიჩერდა, პრეზიდენტის გახსენებაზე ყელში ლამის გამეჭედა.

პირველი მრჩეველი-თვითონ კი ქეიფობს, კარგად....

მეორე მრჩეველი-ჩვენც დავყავართ ხოლმე . მთლა მასეც არაა.

პირველი მრჩეველი-ხო მარა.....მოსკოვის გარდა სხვა ქვეყანა არ გვინახავს.

მეორე მრჩეველი-მრჩეველები არ დაყვებიან ნეტა სხვებს?

პირველი მრჩეველი-არა მგონია. დეპუტატები და იმგენი კი მიდიან სულ.

მეორე მრჩეველი-მინისტრებიც.

პირველი მრჩეველი-მაგათია ყველაფერი.

მეორე მრჩეველი-ჩვენ რა დავაშავეთ. ხალხი არა ვართ.

პირველი მრჩეველი-თვითმფრინავში გული მერევა. ისე კი ვერ ვიტან მგზავრობას.

მეორე მრჩეველი-მე ვიტან და მე წამიყვანოს. შარშანაც მასე იყო დაგვტოვა მარტო. ჩვენი მოსამებნი გახდა მერე.

(მეორე მრჩეველს ლუკმა გადასცდება , ახველებს.)

პირველი მრჩეველი-რა დაგემართა, მაღლა აიხედე. ალალი, ლალაი. (მხარზე ხელს ურტყამს.)

მეორე მრჩეველი-მოძებნაზე, ყელში გადამცდა. რა უნდა ვქნად? ამდენი ხანია....

პირველი მრჩეველი-სადარდებელში ვარ. ის წვერებიანიც დაიკარგა.

მეორე მრჩეველი-არ ვენდობი, რაღაც იცის.

პირველი მრჩეველი-ეგ არ მაინტერესებს. როგორ მოვძებნოთ, მაგაზე იფიქრე.

მეორე მრჩეველი-სულ მაგაზე ვფიქრობ, შენ რა იცი.

(კაფეში ბოშა ქალი შემოდის „ბორია გადაეტ, ბორია გადაეტ,-ის ძახილით.

მრჩეველები ერთმანეთს შეხედავენ. ერთხანს სცენა ჩაბნელდება, ჩანს რომ ამკითხავებინეს. სცენა ინთება. პირველი და მეორე მრჩეველი დადუმებულები და დამწუხრებულები ზიან.)

პირველი მრჩეველი-ხედავ?

მეორე მრჩეველი-არ მჯერავს ამათი.

პირველი მრჩეველი-ისე კი თქვა ვერცხლისფერი ადამიანი ჩანსო. ის მეორე, მაგ ფერებში არ იყო ?

მეორე მრჩეველი-ხო მაგრამ პრეზიდენტობა რა შუაშია. ეგ ხომ ისედაც ვიცით რომ პრეზიდენტია. ხომ ვუთხარით რომ პრეზიდენტს ვეძებთ.

პირველი მრჩეველი-ვერცხლისფერიო.

მეორე მრჩეველი-რა, ფერი შეიცვალა?

პირველი მრჩეველი-ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს? (გაოცებული შეხედავს 2 მრჩეველს.)

მეორე მრჩეველი-ეეეე, პრეზიდენტს ვხედავო.

პირველი მრჩეველი-მოგვატყუა?

მეორე მრჩეველი-იქნება პრეზიდენტები ფერს იცვლიან ?

პირველი მრჩეველი-და ჩვენ არ ვიცით ?

მეორე მრჩეველი-რა გასაკვირია.

პირველი მრჩეველი-იქნებ გაიხსენო კიდეც სად გინახავს ფერ შეცვლილი პრეზიდენტი? რომელი ქვეყნის ?

მეორე მრჩეველი-ახლა არ მახსენდება, მაგრამ გავიხსენებ. იქნებ იმ პლანეტაზე უცვლიან ფერებს ა ?

პირველი მრჩეველი-რა სისულელეა, ვის რათ უნდა ფერგამოცვლილი პრეზიდენტი.

მეორე მრჩეველი-იქნებ იმათი წესია და ჩვენ არ ვიცით. იმათი ხომ საერთოდ არაფერი ვიცით. (პაუზაა.)

პირველი მრჩეველი-ფერწასული ხომ არ იგულისხმა? ქართული კარგად არ იცოდა.

მეორე მრჩეველი-ვითომ ფერი წაუვიდა? არ მგონია.

პირველი მრჩეველი-სხვა ამბავია.

მეორე მრჩეველი-რა სხვა ამბავი? შელებეს?

პირველი მრჩეველი-ხუმრობის დრო არ არის.

მეორე მრჩეველი-არ მეხუმრება. პრეზიდენტი ხომ არ გამოგვიცვალეს?

პირველი მრჩეველი-რას იგონებ ! სულელი ხარ პირდაპირ.

მეორე მრჩეველი-რა ვიფიქრო აბა? რას უნდა ნიშნავდეს.

პირველი მრჩეველი-რა ?

მეორე მრჩეველი-სულელი ხარ.

პირველი მრჩეველი-სულელი თავი გაბია. სარკეში ჩაიხედე. (ენას უყოფს)

მეორე მრჩეველი-ჩემი შენ გითხარო.

პირველი მრჩეველი-გული მოგიკალიო. დაგასწარი, დაგასწარი. (საჩვენებელ თითს ატრიალებს. პაუზაა)

პირველი მრჩეველი-რა ფერი გვითხრა ?

მეორე მრჩეველი-ვერცხლისფერიო.....(პირი დაღებული აქვს, სცენისკენ იყურება.)

(სცენა ოდნავ ბნელდება. სცენის სიღრმეში ჩანს ბომა ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი წვერებიანი კაცი რომელიც ხელს უქნევს მაყურებელს ღიმილით და სცენიდან გადის.)

10.

უცხოპლანეტელი პრეზიდენტის ოთახი. ოთახში ვხედავთ გარდაცვლილ პრეზიდენტს. ტელევიზორში ერთ-ერთი ქართული თანამედროვე ფილმი სრულდება. იქვე მაგიდაზე დევს დაცარიელებული, ქართული წარმოების იაფფასიანი არყის ბოთლი, სახელწოდებით „კასპის არაყი,,

ასევე მაგიდაზე მიმოფანტულია ქართული ფილმების „დივიდი,, დისკები.

პრეზიდენტი-რა გაუკეთეთ. მკვდარია.

თალეს შონია-სუუუ . შე კრეტინო.

პრეზიდენტი-ნუ მამცირებთ.

თაღეს შონია-მაშინ ქვეყანას გააგებინეთ ! წადით !

პრეზიდენტი-ეს ჩვენ არ ჩავვიდენია.

თაღეს შონია-არაა. მემარჯვენეებმა.

პრეზიდენტი-ნუ ხუმრობთ. რა დროს მემარჯვენეებია. მარჯვენა და მარცხენაც აღარ გვექნება მალე.

თაღეს შონია-კი ! თუ ასე იყვირებ.

პრეზიდენტი-შოკში ვარ. არ გესმით?

თაღეს შონია-არ ვარგა. პანიკაში უცხად ვარდები.

პრეზიდენტი-გესმით რა დღეში ვართ ახლა.

თაღეს შონია-როგორ აგირჩიეს თავის დროზე?

პრეზიდენტი-წარსულს ნუ მახსენებთ. აქ არაფერ შუაშია.

თაღეს შონია-თვისებებია შუაში ! თვისებები !

პრეზიდენტი-რა თვისებებზე მელაპარაკებით ამ დროს.

თაღეს შონია-პრეზიდენტის ! თქვენ ერთი მკვდარი კაცის გამო პანიკაში ხართ. სხვები ათასობით კლავდნენ საჭიროების შემთხვევაში. თქვენ ? თქვენ კი მკვდრის დანახვაზე ლამისაა...ჩაისავროთ. რა ვიცი კიდე.

პრეზიდენტი-თანამონაწილეობას მთავაზობთ ?!

თაღეს შონია-შენმა ჩამოტანილმა საჩუქარმა.....მაპატიე შენობით რომ მოგმართავ ხანდახან.

პრეზიდენტი-მე ისინი, კეთილი განზრახვით ჩამოვიტანე. მიწოდდა ჩვენი კულტურა გაეცნო.

თაღეს შონია-ნუ ცრუობთ. როგორ დაგიჯეროთ ?

პრეზიდენტი-სულ ამ ფილმებზე ვიზრდებოდით. თქვენც სხვათაშორის.

თაღეს შონია-არ ვიცი, ფაქტი სახეზეა.

პრეზიდენტი-ყველას ერთად უყურა?

თაღეს შონია-საწყალი. (შეხედავს მკვდარს) რომ შემოვედი რომელიღაც თანამედროვე ფილმზე ქონდა ჩართული.

პრეზიდენტი-და არაყი ? არაყი მე არ წამომიღია, კასპის არაყი-ასეთი სახელწოდების არაყი არ მინახავს.

თაღეს შონია-ვერც ნახავდი... ოთხმოცდათიანებში გამოდიოდა, ცოტა ხანს. ეგ მე მქონდა გადანახული. კაი ხნისწინ მაჩუქეს გზაში.

პრეზიდენტი-ის, ის თქვენი უცხოპლანეტელი?

თაღეს შონია-მას ძინავს. ღრმა დეპრესია აქვს. ნუ გეშინიათ ჩვენი სკოლა გაიარა, არაფერი მოუვა.

პრეზიდენტი-ახლა რა ვქნად? ცოცხალს არ გაგვიშვებენ.

თაღეს შონია-(ამასობაში მკვდარ პრეზიდენტს ტანსაცმელს ხდის.) ესეც ასევე. ცხოვრების სწავლა საზეპირო გაკვეთილი არ არის. ხშირად ცხოვრება თვითონ გეუბნება რა უნდა გააკეთო. არასოდეს არ გაიფიქრო რომ სხვა შენს მაგივრად, შენს გასაკეთებელს გააკეთებს, მით უმეტეს ცაიტნოტში. როცა შენი თავის ღმერთიც და ბატონ-პატრონიც შენ თვითონ ხარ. სხვათაშორის, ღმერთი ყველა სტყვას აღიარებს, ცაიტნოტის გარდა. რატომ ? იმიტომ რომ ადამიანი სწორედ ამ დროს არის საკუთარი თავის ღმერთიც და თავისი თავის პატრონიც. ადამიანში, ცაიტნოტის დროს ღმერთი კარგავს ფუნქციას... ნუ, თუ სხვა პრობლემასთან არ გვაქვს საქმე, მაგალითად თქვენთან. (ირონიით შეხედავს.)

პრეზიდენტი-რას აკეთებთ! მკვდარს ხდით!

თაღეს შონია-არა. კაი ხანია არ გამოუცვლია და გასარეცხად უნდა წავიღო. ბევრს ნუ ლაპარაკობ! მოიზომეთ! (აწვდის ტანსაცმელს)

პრეზიდენტი-არ მომივა.

თაღეს შონია-მოიზომეთ. ნუ ცრუობთ.

პრეზიდენტი-თქვენ კიდევ სულ ნუ მამცირებთ.

(პრეზიდენტი , გარდაცვლილის ფორმაში იმოსება. სარკეში კმაყოფილი იყურება. პრეზიდენტის სკამზე ჯდება, გახარებული სახე აქვს ბავშვური. ასევე კმაყოფილი სახე აქვს თაღეს შონიას. ამ პროცესს უმჯობესია ფონად რომელიმე, შესატყვისი, კლასიკური კომპოზიცია გასდევდეს. უცბად მუსიკა წყდება.)

თაღეს შონია-თქვენ.....(თითს უშვერს პრეზიდენტს)

პრეზიდენტი-რა მე ?

თაღეს შონია-თქვენ ერთად ერთი გამოსვლი ხართ.

პრეზიდენტი-მეე ? როგორ ? (წამოდგება) განა თქვენ არ მეუბნებოდით ცოტა ხნის წინ,-
პრეზიდენტის თვისებები არ გაქვსო ?

თაღეს შონია-კი გეუბნებოდით და მართალიც ვიყავი.

პრეზიდენტი-ახლა?

თაღეს შონია-კიდეც ერთი უარყოფითი თვისება, ლაპარაკს არ მაცდით. სად გაგონილა.

პრეზიდენტი-მერე ?

თაღეს შონია-სრულყოფილი არავინაა. მეტს არაფერს გეტყვი. შენს ზურგში მე ვიქნები.
ამათზე ნაკლებად არც მე ვიცი აქაური ყოფა.

პრეზიდენტი-თქვენს იმდად მტოვებთ?

თაღეს შონია-(პაუზაა) ხომ ვერ მეტყვით ახალგაზრდა ვისთან და ვის იმედზე, ან საერთოდ
როგორ აღმოჩნდით აქ?

პრეზიდენტი-(თავს ხრის) სულ გავუტეე ჩემებურად. მაპატიეთ. (პაუზაა)

თაღეს შონია- ნათქვამია...ტრავს თუ ათამაშებ, ქონებიც უნდა გქონდესო...ძველი გამოთქმაა
ასეთი...(პაუზა) დაჯექით პრეზიდენტის სკამზე და ფეხი არ მოიცვალოთ. (პაუზა) ბოლო-
ბოლო რა დაგრჩენიათ იქ. ორი იდიოტი მრჩეველი. ? დაბნეული ხალხი ? ფულზე გაყიდული
სამღვდელოება ? თუ დიდი სატრანზიტო გზა? დაიმახსოვრეთ არ არსებობს ადამიანი
რომელსაც არ უოცნებია დიად სიმაღლეებზე. ასეა. ყველა ადამიანის ოცნების საზღვარი,
თავისი ფანჯრის ჩარჩოდან იწყება. რაც უფრო მეტ სიცარიელეს და სივრცეს ხედავ, მით
უფრო დიდია ოცნებები, ამ სივრცეში დაკარგვისა.ხომ გაგიგიათ, ყველა ჯარისკაცი
გენერლობაზე ოცნებობსო. დარწმუნებული ვარ პრეზიდენტობაზე რომ არ გეოცნება ვერც
გახდებოდი პრეზიდენტი. მაგრამ პრეზიდენტებსაც ეხსნებათ ოცნებების მადა. სხვა, უფრო
კარგი და მდიდარი ქვეყნის პრეზიდენტობა სურთ. შემდეგ მსოფლიო პრეზიდენტობა.
გალაქტიკის და ასე... მიდის ოცნებები მაღლა, ცაში, გაფერადებული კვამლივით. მაგრამ
თქვენი შემთხვევა სულ სხვაა. თითქოს კურიოზულიც. ფაქტიურად მისია ისე დაგვეცისრათ
რომ ის არავის დაუწერია არსად. როგორც იტყვიან მთა მივიდა მუჰამედთან. მისია. მისია
მოვიდა თვითონ თქვენთან ბატონო პრეზიდენტო და ნუ შეეცდებით აწყენინოთ მას.
შეეცადეთ, მაგრამ ცდის დროც აღარ არის. მიიღეთ ეს მისია თქვენში. თქვენ და მეც სხვა გზა
მაინც არ გვაქვს. ასე რომ !...

პრეზიდენტი-(შეთავაზებით დაბნეულია. ხმას ვერ იღებს. ნელ ნელა სახეზე სიხარული
ეტყობა. სარკეში იყურება.) ეს. (პაუზა) ეს მეე?

თაღეს შონია-დიახ ! თქვენ!

პრეზიდენტი-უცნაურია ეს ყველაფერი !

თაღეს შონია-მხოლოდ ასე, ამ უცნაურობით გადავრჩებით. (ფანჯრისკენ იყურება.) ეს ერთადერთი შანსია. სამაგიეროდ აქ იქნებით მუდმივი პრეზიდენტი. (სცენისკენ იყურება რაც ქვეყნისაკენ გახედებას გულისხმობს.) იქით ველარასოდეს დაბრუნდებით!

(პაუზა)

პრეზიდენტი-(სარკის წინ) ჩემო ორად ორო მრჩეველო. თქვენო უწმინდესობავ. მარად თვალეშიმოციმციმე მინისტრებო. არაფრის მაქნისო დეპუტატებო. პარტიულო აქტივისტებო. ბიზნესმენებო. მამღრებო. მშივრებო. მოხუცებო და ბავშვებო. ქალებო და კაცებო. სოციალურად დაუცველებო და დაცულებო. დინჯებო და მასხარებო. ცნობადო სახეებო და უცნობებო. ხელოვანებო და სპორცმენებო. მოქალაქეებო და მოქალაქეობის არ მქონენო. „ასტუპნიკებო,, და მუდმივ მობინადრეებო. ძალით გაერთიანებულო და მერე მრავალჯერ დაშლილო, მარად ქრისტეს შემყურე ქვეყანავ. მოისმინეთ ერთი განცხადება: სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა თქვენი მუდმივმოქმედი პრეზიდენტი !

(პრეზიდენტი სარკის წინ დგას და მომღიმარი სახით ხელს იქნევს. შემდეგ დარბაზისკენ ტრიალდება ხელის ქნევით. სცენა ბნელდება)

11.

(პრეზიდენტის სათათბირო ოთახი.)

პირველი მრჩეველი, მეორე მრჩეველი.

ვირტუალური სათათბირო პრეზიდენტთან. მაგიდასთან , - პრეზიდენტის სკამი ცარიელია.

პირველი მრჩეველი-გვეგონა კაი ხნით წახვედით. რა უნდა გვეფიქრა არ ვიცოდით პირდაპირ.

მეორე მრჩეველი-რა აღარ ვიფიქრეთ. სიზმრებშიც გნახულობდით.

პირველი მრჩეველი-არა ქვეყანაზე ნუ იფიქრებთ, აქ ყველაფერი კარგადაა, ხალხი კმაყოფილია. არც კი გაუგიათ რომ აქ არ იყავით. რამოდენიმე დღე სატელევიზიო ანძაც გაითიშა.

მეორე მრჩეველი-პატარა აქცია ჩატარდა მხოლოდ...ჰმ შრომის უფლების გაზრდას მოითხოვდნენ...ჩვენ და ბედათ მაგარმა წვიმამ დასცხო და სამ წუთში აღარავინ იდგა.

პირველი მრჩეველი-ან რა უფლება უნდა შრომას. იმუშავე და მორჩა. არ ესმით ამ ხალხს.

მეორე მრჩეველი-ამათ ძველი დრო არ უნახავთ, სულ რომ არ იყო სამუშაოები.

პირველი მრჩეველი-თქვენი დამსახურებაა თორე.....კი იქნებოდნენ ახლა დამხრჩვალნი კატებივით.

მეორე მრჩეველი-გეგონება მათთვის არ გინდოდეთ ყველაფერი. მაგრამ უმადური უმადურად დარჩება მაინც. ვერ გაექცევით.

პირველი მრჩეველი-დამქაშები ყავთ ნამდვილად. თორე ეგენი ვერაფერს მოიფიქრებდნენ. პროფკავშირები უჩხიკინებენ მაგათ...დრო და დრო თავს გვახსენებს პროკავშირიც, რა ქნან მაგათაც, ერთი პირველი მაისი აქვთ და ეგაა სულ...

მეორე მრჩეველი-სად ააქვთ ფიქრის თავი ხალხს. თვიდან თვემდე ხელფასზე ფიქრობენ მარტო.

პირველი მრჩეველი-რომ იცოდნენ, თქვენ რამდენ რამეზე ფიქრობთ.....ადარაფერზე იფიქრებდნენ.

მეორე მრჩეველი-ჰო მართლა, რაღაც დეპეშა მოვიდა.....რომელიღაც ქვეყნის პრეზიდენტი გარდაცვლილა და....

პირველი მრჩეველი-ვერ გაიგეს ამდენი ხანია რომ გასვენებებზე სიარული არ გიყვართ. ეგრევე დავხიეთ ის უსტარი.

მეორე მრჩეველი-არც საპასუხო წერილი გაგვიგზავნია.

პირველი მრჩეველი-იფიქრებენ რომ ცუნამის დროს დაიკარგა, გზაში.

მეორე მრჩეველი-ხო მართლა, თქვენმა ნათესავმა წერილი მოგწერათ ციხიდან. როდემდე უნდა ვიჯდეო. უკვე მესამედ მოიწერა.

პირველი მრჩეველი-(ჩაიხითხითებს) წეროს და იკითხოს. რა იცის რომ თქვენ.....

მეორე მრჩეველი-ისე არ გეწყინოთ და დიდი მიუხვედრელი ვინმეა. ხომ უნდა მიხვდეს რომ გარე ნათესავი, ნათესავი არაა.

პირველი მრჩეველი-არა რომ მიძვრებოდა სად მიძვრებოდა. ა ?

(პირველი მრჩეველი და მეორე მრჩეველი იცინიან. უხერხული პაუზაა)

პირველი მრჩეველი-იცით....(ნერვიულობს) უნდა გვაპატიოთ. თქვენზე...(თქმა უჭირს და განიცდის) უნდა გამოგიტყდეთ და ვიეჭვიანეთ.

მეორე მრჩეველი-ვიღაც წვერებიან კაცზე.

პირველი მრჩეველი-დაუკითხავდ გამოგვეცხადა. მისანივითაა, ყველაფერს ხვდება. ახლაც არ ვიცით სადაა.

მეორე მრჩეველი-თქვენ რომ წასული იყავით ეგეც კი იცოდა.

პირველი მრჩეველი-საქმეებში ჩარევაც კი უნდოდა.

მეორე მრჩეველი-ვერ მივართვით.

პირველი მრჩეველი-ყველაფერში ცხვირს ყოფს.

მეორე მრჩეველი-ძველ ხალხს ყველას იცნობს. იმათი ფრაზებით გველაპარაკება. ბაბუათქვენიც სცოდნია.

პირველი მრჩეველი-საშიში კაცია. თავიდან გვეგონა რომ.....

მეორე მრჩეველი-გვეგონა რომ ახალი მრჩეველი აიყვანეთ და ჩვენ.....(ქვითინს იწყებს)

პირველი მრჩეველი-გაჩერდი. ხომ ხედავ რომ ყველაფერი კარგადაა.

მეორე მრჩეველი-ვიფიქრეთ რომ იმ წვერებიანში გაგვეცვალა-თქო.

პირველი მრჩეველი-გვაპატიეთ, ეს როგორ ვიფიქრეთ. (თავს ხრის)

მეორე მრჩეველი-ვიღაც წვერებიანის გულისთვის თან....

პირველი მრჩეველი-არა ისე სასაცილოცაა. განსაკუთრებით მაშინ როცა ძველებური ენით საუბრობს. ნუ ძირითადად თავისთვის, მაგრამ სასაცილოა. ტვინი წაიღო შეგონებებით.

მეორე მრჩეველი-ყველაფერი ძველი დავიწყებული გაქვთო.

პირველი მრჩეველი-მამა-პაპათა ადათ წესები გადავიწყებული გაქვთო.

მეორე მრჩეველი-ასე შორს ვერ წახვალთ და სულ გადაგვარდებითო.

პირველი მრჩეველი-ვიღაც ძველი მეფის რუქა გვანახა.....,აი რამხელა იყო ჩვენი ქვეყანა, ახლაც რას დაგიმსგავსებიათ.,-ო, ბოგანოებს ლანძღავდა.

მეორე მრჩეველი-კედელთან მიგვაყენა. არ ვიცოდით რა გვეთქვა. გამძვინვარებული ლაპარაკობდა. ვინმე დავითს ახსენებდა სიამაყით. მერე ილანძღებოდა, სულ თამარის ბრალია დაღმასვლაო. ვიღაც დავით ულუს დედის ტრაკიც კი შეაგინა .

პირველი მრჩეველი-ჩვენ ვერაფერს ვიგებდით, გასუსულები ვისმენდით. თანაც თავისი ძველებურით ლაპარაკობდა და თან სულ მაღლა იყურებოდა.

მეორე მრჩეველი-ვიფიქრეთ ხომ არ დათვრა და გაჭედათქო მაგრამ , თქვენი სასმელი ხელუხლებელი იყო.

პირველი მრჩეველი-ბოლოს გული ლამის გაუჩერდა. თრიაქი მოითხოვა. ეგ არ ვიცოდით რა იყო და ვალერიანის წვეთები დავალევინეთ. უფრო სასაცილო გახდა. ბავშვობაში ჩემს კატას ვასმევდით და საყვარლად გამოიყურებოდა....ხო და იმას დაემსგავსა.

მეორე მრჩეველი-მერე თქვენზე იკითხა, სულ ასე დადისო? ქვეყანაში როდისღააო? ნეტავ რაზე ფიქრობსო? ფაქტიურად სილა გაგაწნათ. ავლელდით...

პირველი მრჩეველი-ჩვენ ვუთხარით რომ საქმეზე ხართ. ქეიფი აზრად არც მოგვსვლია. (2 მრჩეველს გახედავს) საიდუმლოს შენახვა კარგად ვიცით. არა რა გასაფიქრებელია ღალატი.

მეორე მრჩეველი-მარა რად გინდა. ყველაფერი, სიტყვა -სიტყვით გვითხრა რაც თქვენ გვითხარით და დაგვაბარეთ. ბრიყვბივით შევყურებდით.

პირველი მრჩეველი-ამან უფრო დაგვაბნია და შეგვაშინა. რა გვექნა არ ვიცოდით სირცხვილისგან.

მეორე მრჩეველი-ვიფიქრეთ რომ....თქვენგან.....

პირველი მრჩეველი-ეგ კი არა ჩემი სიზმარიც კი მომიყვა. გადავირიე კაცი.

მეორე მრჩეველი-იმ ქალის ქმარი მეგონა.

პირველი მრჩეველი-შე იდიოტო , რა იცის პრეზიდენტმა ჩემი სიზმარი.

მეორე მრჩეველი-უჰ, მაპატიეთ ბატონო პრეზიდენტო. არ ვიცი ამ ბოლო დროს რა მემართება, დაბნეული ვარ.

პირველი მრჩეველი-მთხლე ხარ. (უღიმის)

მეორე მრჩეველი-(პრეზიდენტს უყურებს, უფრო სწორედ პრეზიდენტის სკამს) რა ჩემი ბრალია. ამ ბოლო დროს ისეთი რამეები ხდება რომ.

(სიჩუმეა. პაუზაა.)

პირველი მრჩეველი-ჰა ჰა (პრეზიდენტის სკამისკენ იყურება) არა და რომ იცოდეთ როგორი სიზმარი ვნახე...

მეორე მრჩეველი-უტ. უტ. უტუტუ! (მკაცრად შეაწყვეტინებს)

პირველი მრჩეველი-(ღიმილით) არაფერი ისეთი.....(თავს ხრის. შერცხვენილია.)

მეორე მრჩეველი-თქვენს აქ არ ყოფნაში გვენატრებით ხოლმე დასიზმარიც თქვენზე ნახა.

ვითომ დიიიდ კაარგ სუფრაზე იყავით თამადა.

პირველი მრჩეველი-ვითომ რომელიღაცა მდიდარი ქვეყნის პრეზიდენტი გადაგეკიდათ,- ჩემთან უნდა წაგიყვანოთ და ავლა დიდებით გამოგიშვათო. ძან მოეწონეთ. თქვენს მზეს ფიცულობდა.

მეორე მრჩეველი-მერე წასულხართ თურმე და იქ კაი ხანი დარჩენილხართ. დიდი პატივით გამოუშვიხართ.

პირველი მრჩეველი-ისეთი ბედნიერი ვიყავი, პირდაპირ არ ვიცი. სიზმარში ვწრიალებდი თურმე. დედაჩემს რომ არ გაველვიძებინე სიხარულისგან გავგიჟდებოდი.

მეორე მრჩეველი-როგორ მიყვარს ასეთი კარგი სიზმრები. ბავშვობაში უფრო ხშირად ვნახულობდი.

პირველი მრჩეველი-გვაპატიეთ. ვთავხედობთ. გაგითამამდით.

მეორე მრჩეველი-თქვენი ჩამოსვლა რომ გვიხარია მაგიტომაც.

პირველი მრჩეველი-ავცუნდრუკდებით ხოლმე. (ილიმებიან)

(ისევ სიჩუმეა. პაუზაა.)

მეორე მრჩეველი-არა რომ არ ვთქვა არ შემძლია. გვეშინოდა, იქურ საჭმელს არ მოეწამლეთ.

.....ჯერ აქ რა არის და.....ვფიქრობდით ვაი თუ ვერ შეეჩვიოს-თქო.

პირველი მრჩეველი-ვინანეთ რომ აქაური საჭმელი არ გაგატანეთ. იქნებ როგორ მოგენატრათ ჩვენი კერძები. სულ გვანტერესებდა როგორი საჭმელები აქვთ.

მეორე მრჩეველი-მოსკოვის გარდა არსად ნამყოფები არ ვართ. ერთხელ ბორში გვაჭამეს...ჩვენ ვუთხარით, ბორშის ჭამა რომ არ გვინდოდა აქ იმიტომ გამოვიქეციეთ-თქო.

პირველი მრჩეველი-სულ გვინდოდა უცხოური საჭმელების ჭამა. ტელევიზორში რომ ვხედავთ ნერწყვი გვადგება ხოლმე. არა, ხინკალს არაფრი მირჩევნია მაგრამ, იმათი უფრო ლამაზად გამოიყურება.

მეორე მრჩეველი-იცთ.....არ გვინდოდა.....(ვისკის ბოთლისკენ გაიხედავს)

პირველი მრჩეველი-სულმა წაგვძლია. შეშინებულები ვიყავით. გვეგონა ბოლო დღე იყო.

მეორე მრჩეველი-ჯერ ერთი ჭიქით დავიწყეთ, მერე როგორც ხდება ხოლმე.

პირველი მრჩეველი-თქვენს სადღეგრძელოს , თქვენი ოჯახის მოყვა. მერე საქმიანობის.....

მეორე მრჩეველი-როგორც ხდება ხოლმე.....სიყვარულის ბუშტი გაგვისკდა.

პირველი მრჩეველი-ჩვენც ადამიანები ვართ. გვიყვარს. გვტკივა. გვეშინია.

მეორე მრჩეველი-უთქვენოდ არ შეგვიძლია. მთელი ღამეები ვფიქრობდით, არ გვეძინა.

პირველი მრჩეველი-(ტელესკოპს გახედავს) სიტუაცია კონტროლზე გვყვავდა. ყველაფერს ვხედავდით.

მეორე მრჩეველი-ის იდიოტიც.....

(პირველი მრჩეველი მკაცრად გახედავს)

პირველი მრჩეველი-იმ იდიოტსაც უნდოდა გახედვა.....

მეორე მრჩეველი-ვიფიქრედ კიდეც, წამოვსულიყავით. რომ აღარ ჩამოხვედით.

პირველი მრჩეველი-მაგრამ ისეთი ტრანსპორტი სად მოგვეძებნა.

მეორე მრჩეველი-ვიფიქრედ, ხომ არ მოგიტაცეს. რას არ იფიქრებს მაგ დროს კაცი.

(სიჩუმეა, უხერხული სიტუაციაა.)

პირველი მრჩეველი-.....და როგორ გექცეოდნენ. ხომ არ გაბრაზებდნენ?

მეორე მრჩეველი-ჩვენებურო, ჩვენებუროს კი გეძახდნენ.

პირველი მრჩეველი-არა ცუდი არც გვიფიქრია.

(ისევ სიჩუმეა)

მეორე მრჩეველი-(ჩურჩულით) ბატონო პრეზიდენტო.....აი.....ქალები როგორი ყავდათ.....ააარ.....

პირველი მრჩეველი-(დაბნეულია) კაი ახლა, მთლად დავღალეთ. რა დროს ქალებია. სახლში უნდა.

მეორე მრჩეველი-მაპატიეთ. არ უნდა მეკითხა. ცოლი ახალი მოყვანილი მყავს.

პირველი მრჩეველი-მერე და რას ეკითხები. დაღლილია კაცი.

მეორე მრჩეველი-ჩაის დავადგამ.

პირველი მრჩეველი-მოიცადე. იქნებ არ უნდა.

მეორე მრჩეველი-იიფ. შენ მასწავლი. გინდა დამასწორო?

პირველი მრჩეველი-მაგას ისედაც შენ აკეთებ. დაგავიწყდა?

მეორე მრჩეველი-მე....მე რას ვაკეთებ ? (ფიქრდება)

პირველი მრჩეველი-(მაგიდისკენ იხედება) აღარ გახსოვს?

მეორე მრჩეველი-დაბნეული ვარ სუ მთლათ.

პირველი მრჩეველი-ჩაი ადუღდა, დავასხამ.

მეორე მრჩეველი-კონიაკი ?

პირველი მრჩეველი-უი, აღარაა.

მეორე მრჩეველი-აბა რა ჩავუსხა.

პირველი მრჩეველი-(ჩურჩულით) ჩუუ , მგონი ჩაიძინა. გადავრჩით.

მეორე მრჩეველი-გავიდეთ, იქნებ დიდხანს ეძინოს....

პირველი მრჩეველი-ხო, უძილობა არ უყვარს. ცუდ ხასიათზე დგება.

(შეხედავენ ცარიელ სკამს რომელზეც არავინ ზის. შემდეგ სცენისკენ იყურებიან დაბნეული სახეებით და ფეხაკრეფით გადიან სცენიდან .)

12.

(სცენაზე შემოდის ახლადგადვიძებული უცხოპლანეტელი, რთავს ტელეეკრანს, სადაც სიტყვით მისი პლანეტის პრეზიდენტი გამოდის, პრეზიდენტის გვერდით თაღეს შონია დგას. უცხოპლანეტელი, პრეზიდენტის სახეს გაოგნებით აკვირდება და ხვდება რომ ეს ის ადამიანია რომელიც მას თაღეს შონიამ გააცნო. უცხოპლანეტელი სცენაზე უმისამართოდ დარბის, მოცარტის რექვიემიდან „დო მინორის, იგივე კირიე ე ლეისო,,-ს ფონზე, შემდეგ დაეცემა. ნელ ნელა წამოდგება , ეკრანს შეხედავს და თითის გაშვერით ეკრანისკენ წარმოთქვამს სიტყვებს:)

უცხოპლანეტელი-ტრაკიდან წყალს მაინც ვერ გამოუშვებ.

(სცენიდან მაცურებლისკენ იყურება და გულწასული უხმოდ დაეცემა.)

ფარდა